964
1929

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო

ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების
ყოველთვიური ორგანო.

"LA PATRIE"

L'organe de la démocratie nationale géorgienne

პარიზი. მკათათვე 1929 წ.

N° 1

გამომცემლობა „საქართველო" ვალანტინიე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს ა მ შ ო ბ ლ ო

ეროვნულ დემოკრატიული მიმართულების ყოველთვიური ორგანო.

L'organe de la démocratie nationale géorgienne "La Patrie"

პარიზი. მკათათვე 1929 წ. **N 1** Paris. Juillet 1929.

მკათათვე. 1929 წ.

ჟურნალი «სამშობლო», ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების ორგანო, საყურადღებო დროს გამოდის. რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის ცხრა წელიწადი უსრულდება. უსრულდება ცხრა წელიწადი თვით ქართველი ერის ბრძოლას დამოუკიდებლობის აღსადგენად, ხოლო ქართულ ემიგრაციას ამდენივე წელიწადი სამშობლოს გარეთ ყოფნისა. ქართველი ერის ცხრა წლის ამ ბრძოლას უკმად არ ჩაუვლია. ამ ბრძოლის გზა სისხლით არის მორწყული და ქართული ძვლებით მოპოხიერებული. საქართველოს განთავისუფლება ამ ტანჯვის გზით მიემართება. მაგრამ ეს ცხრა წელიწადი იმის ნიშანია, რომ ამ გზის უმეტესი ნაწილი უკვე განვლილია და მხოლოდ მცირედი ღა დარჩა თავისუფლების დღემდე.

შეიცვალა ამ ცხრა წლის განმავლობაში ქართველი ერის მიზანი? მიზანი დღესაც იგივე არის და იმას ვერ შესცვლის ვერც სიკვდილი, ვერც ციხე, ვერც გადასახლება , ვერც დევნილობა. რაც ამდენი იყო ამ ცხრა წლის განმავლობაში. ქართველი ერის მიზანი და მისწრაფება ისევ დამოუკიდებლობა არის და ამას უნდა ემსახუროს მთელი თავისი ძალღონით ჟურნალი «სამშობლო»-ც.

ჟურნალმა თავის გარშემო თავი უნდა მოუყროს იმ მიმართულებას, რომლის მნიშვნელობა საქართველოს ახლო წარსულში ასე დიდი იყო, რომლის მონაწილეობა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, მიმდინარე წლებში განსაკუთრებული იყო და რომლის როლი მომავალ საქართველოში გადამწყვეტი მნიშვნელობისა იქნება.

სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს ის სიმთვრალის ხანა, როდესაც ჩვენში ფიქრობდნენ, რომ ერის მთელა უკიდურეს მიმართულებას და დოქტრინებით შებოჭვა-ლ ჭკუა გონებას შეეძლოს. ეს ზღაპარი, რომელიც ქართველ ერს ამდენ სისხლად და ტანჯვად დაუჯდა, დღეს ვეღარავის მოხიბლავს. ამ დოქტრინების ძალა ქართველმა ერმა თავის ზურგზედ გამოსცადა. დღეს მას ისეთი მიმართულება ესაჭიროება, რომელიც დამოუკიდებლობას მოუპოვებს და სახელმწიფოს შეუქმნის, ამ დოქტრინერებს სწორედ ამისი უნარი და ნიჭი არ აღმოაჩნდათ. მათ ვერ გამოიჩინეს ვერც

30470

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანრი ქაშია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამოუკიდებლობის შენარჩუნების უნარი, ვერაც სახელმწიფოს შეკმნის ნიჭი. მათ მხოლოდ სიხარბე გამოიჩინეს—ყველაფერი საკუთარ ხელში სპეროდათ და ყველაფერი ხელიდგან გაუვარდათ, როგორც რეგვენ ხალხს, რომელთაც შეგნება არა ჰქონდათ—რა ეჭირათ ხელში.

ქართველმა ერმა ეს ამბავი ზედმიწევნით გაიგო. ძველის ნაკმაზით, მას ვეღარავინ მოატყუებს. აი ეს გარემოება უხსნის ეროვნულ-დემოკრატიას ახალ გზას, ახალ ასპარეზს. ეროვნული დემოკრატია ამ შემთხვევაში მარტო ეროვნულ-დემოკრატიული პარტია კი არ არის, არამედ მთელი ქართველი ერი, ამ ერის მთელი ეროვნულად მოაზროვნე ნაწილი, იმისი ისტორია და ტრადიცია წარსულში, იმისი ეროვნული იდეალი გუშინ, დღეს და ხვალ. ასეთი ეროვნული დემოკრატია არც ცოტაა, არც სუსტია. ასეთ ეროვნულ-დემოკრატიაში მთელი ერის ენერგია არის გამონასკვული. აქ იგულისხმება ერის ყველა კლასები, მთელი მწარმოებელი და მშრომელი საქართველო, ის რასაც დღეს ნამდვილი დემოკრატია ჰქვიან, რომელიც ეროვნულს ნიადაგზედ არის შემდგარი და თავის წარსულს, თავის ნივთიერ და გონებრივ განვითარებას და ამაღლებას, არა ერთთანეთში დარეკვით და დაკა-დაკათი ემსახურება, რასაც ქადაგებდნენ ოცდაათი წლიწადი ეს უნიადაგო დოქტრინერები, არამედ მორიგებით, სოციალური შეთანხმებით და ეროვნული სოლიდარობით.

ჟურნალი «სამშობლო» ასეთი ეროვნული დემოკრატიის მიმართულების ორგანო არის, ხოლო ამ ეროვნულ დემოკრატიას წინ ეს ზემო აღნიშნული მიზნები უდგვს.

ჟურნალს კარგათ ესმის რა სიძნელე და დაბრკოლებანი გადაეღობება ამ გზაზედ, მაგრამ ამ ძნელ საქმეში გამამხნევებელ და სულის ჩამბერველ მაგალითად მას თვით ქართველი ერი ეყოლება, რომელიც მიუხედავად აუტანელი ცხოვრების პირობებისა, მტრის ძმიმე უღლისა და მასზე მოქნეული მახვილისა, თავისუფლებისათვის მედგრად იბრძვის.

«სამშობლოს» ლოზუნგი არის საქართველოს სახელმწიფოს აღდგენა და მისი დაფუძნება და განმტკიცება თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოებრივობის ნიადაგზედ.

ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ორგანიზაციებს.

უკანასკნელი ოვეების განმავლობაში ადგილი ჰქონდა ჩვენს პარტიულს ცხოვრებაში ისეთს მოვლენებს, რომელნიც მნიშვნელოვანს ცვლილებებს შეიტანენ ჩვენს პარტიულს საქმიანობაში და საერთოდ ჩვენს განმანთავისუფლებელი ბრძოლის პოლიტიკაში.

ასეთი მოვლენებია—ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ორგანი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზასიული და სრული გამოსვლა ეგრედ წოდებული საერთო ფრონტიდან და 1927 წლის შემდგომაზეც, ჩვენი პარტიის უცხოეთის ორგანიზასიებში ჩამოვარდნილ უთანხმოების სრული ლიკვიდასია და პარტიაში ორგანიზასიული მთლიანობის აღდგენა.

ჩვენი პარტია იყო თავისანი და მთავარი მამძრავებელი ძალა იმ ეროვნული დარაზმულობისა, რომელიც წარმოიშვა საქართველოში 1921 წლის კატასტროფის შემდეგ და რომელსაც მთლიანი ეროვნული ფრონტი ეწოდებოდა. უცხოეთის მუშაობაც ამავე გაერთიანებული ფრონტის საფუძვლებზედ უნდა აგებულიყო. ამას მოითხოვდა ყველა პარტიათა შორის დადებული შეთანხმებები და განმანთავისუფლებელი ბრძოლის ყველა ინტერესები. მაგრამ ამის განაღდება შეუძლებელი გახდა. მენშევიკური პარტიის კამარილამ შეუძლებელი გახადა გულწრფელ შეთანხმებებზედ და სურვილებზედ აშენებული მუშაობის დამყარება. ჩვენმა პარტიამ არა ერთი პირობა და შეთანხმება დასდვა მასთან, არა ერთი ცვლილება მოახდინა მასთან ურთიერთობაში, პიროვნული თუ ორგანიზასიული, მაგრამ ვერას გახდა. ეროვნული მებრძოლი ფრონტის სამოსელის ქვეშ მენშევიკური კამარილის საქმე უნდა დარჩენილიყო. ის კამარილია და ის საქმე, რომელმაც მრავალჯერ დაამარცხა ჩვენი ეროვნული მიზნები და ეროვნული საქმე. და თუ ეროვნული დემოკრატია ამას არ შეურიგდებოდა საბოლოოდ, ის ამ კამარილიას უნდა დაშორებოდა. ასეთი საქვეყნოდ ორგანიზასიული დაშორება უკვე მოხდა. ამიერიდან, ეს ეგრედ წოდებული ეროვნული ფრონტი არის უკვე სასვებით მენშევიკური კამარილია და მას არაფერი აქვს საერთო იმ მებრძოლ ეროვნულ ფრონტთან, რომელიც წარმოშვა მებრძოლ საქართველოს სინამდვილემ და სადაც მთავარს როლს თამაშობდენ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და მისი მომდევარი ეროვნული ძალები.

ეროვნული დემოკრატია დასპილდა და დაშორდა ამ კამარილიას, ხოლო ის არ დაშორებია ეროვნულ თავისუფლებისათვის მებრძოლ ძალთა ერთიანობის იდეას და საქმეს. ის გაშორდა მხოლოდ იმ კამარილიას, რომელმაც შეუძლებელი გახადა ასეთი მთლიანობის დამყარება და ის უბრუნდება დამოუკიდებელი პოლიტიკის გზას, რომ კვლავ აღადგინოს და განამტკიცოს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ძალთა საღი და პატიოსანი ერთობა და კავშირი.

ჩვენი პარტიის სრული მთლიანობის აღდგენა ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება ამ ჯანსაღი ეროვნული დარაზმულობის აღდგენისა და განმტკიცების საქმეში. ამ განხეთქილებას არ ჰქონია საფუძვლად პრინციპიული უთანხმოებები. ჩვენს პარტიაში არ არსებობდა და არ არსებობს აზრთა რაიმე სხვადასხვაობა იდეიურ საკითხების გარშემო. ჩვენი მიმართულების საფუძვლები მტკიცედ არის ჩამოკვეთილი ჩვენი ცხოვრების მსვლელობაში და ის გამართლებულია ჩვენი და ყველა სხვა ერთა განვითარების მაგალითებით. ჩვენი უთანხმოების საგანი იყო ტაქტიკისა და ში-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაური წყობის საკითხები. ჩვენმა ორგანიზაციებმა საქართველოში სრულიად არ მიიკარეს ასეთი მნიშვნელოვანი საკითხების გარშემო წარმოშობილი უთანხმოება. მათ არა ერთხელ მოსთხოვეს საზღვარ-გარეთის ორგანიზაციებს დაჩქარებითი ლიკვიდაცია ამ უთანხმოებისა და მტკიცე პარტიული ცენტრის შექმნა. უსხოეთის ორგანიზაციები ძლიერ მალე დაადგენ ამ უთანხმოების აღკვეთის გზას და ამ ქამად ეს შესრულებულია ყველა ჩვენი ორგანიზაციების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით.

გაერთიანებულმა ორგანიზაციებმა ასევე ერთსულოვნად იცნეს თავის ხელმძღვანელ ორგანოდ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთის ცენტრალური ბიურო. ამ ბიუროს წყობაში დაპულია ის წესები, რომელიც მიღებული ჰქონდა ჩვენს პარტიას უსხოეთში მომქმედ ორგანიზაციების შედგენისა და შეცვლისათვის. მეორეს მხრივ ანგარიშ გასაწევი იყო ის გარემოება, რომ ამ ქამად ჩვენს პარტიას მრავალი ორგანიზაციები აქვს შექმნილი უსხოეთში. ჩვენი პარტიული ემიგრაციის უმრავლესობას არ წარმოადგენს ეკაკუაციით წამოყვანილი მოხლეები. ჩვენი ემიგრაციის ცხრა მეათედს შეიცავს ისეთი პირები, რომელთაც წლები აქვთ გატარებული განმანთავისუფლებელ ბრძოლის დროშის ქვეშ. ეს მებრძოლი ძალაა, საქართველოში მებრძოლი ძალების ოცხალი და განუყოფელი ნაწილი. ამ ძალთა დარაზმვა და მისი ორგანიზაციული დაკავშირება ცენტრალურ ორგანოსთან, აუცილებელია და ეს გამოსახულებაა ამ ძალთა სიცოცხლისა და არსებობის.

საზღვარ-გარეთის ცენტრალური ბიურო იწყება თავის მოქმედებას. მიუხედავად იმ ძნიმე პირობებისა, რომელშიაც უხდება მას მოქმედება, ის მაინც სრულის იმედიანობით უცქერის ჩვენი ეროვნული საქმის მომავალს. მას მტკიცედ სწამს, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენობის აღდგენის დღე მოახლოებულია. ის იმედიანად უცქერის ჩვენი პარტიის მომავალსაც. ის შეიარაღებულია იმ ურყევი რწმენით, რომ ანტიახელმწიფოებრივ ძალთა თარეშობა საქართველოში მალე დასრულდება და იქ დამყარდება მტკიცე სახელმწიფოებრივი ცხოვრება ეროვნულსა და დემოკრატიულს საფუძველებზედ. ჩვენი მიმართულების წინააღმდეგ ფრიად მნიშვნელოვანი ძალები მოქმედებენ, მაგრამ დრო და ცხოვრება ჩვენს მხარეზედაა და ცხვრების კანონები კი გარდუვალია.

ეროვნულ სახელმწიფოებრივობის ნიადაგზედ მდგომ ძალთა გაერთიანება და დარაზმვა—აი რა შეადგენს ჩვენს მუდმივ ამოცანას. ის მოგვიახლოვებს გამარჯვებას, ის მოგვცემს საშუალებას რომ ჩვენი ეროვნული მიზნებისათვის გამოვიყენთ ყოველი შესაფერისი დრო, ყოველი ხელსაყრელი პირობა და გარემოება.

ჯოჯოხეთურს პირობებში უხდება ამ გეზით მუშაობა ჩვენს პარტ ას, მაგრამ ეს მას ვერ შეაჩერებს. ყოველს მდგომარეობაში ის გაკეთებს იმას, რის გაკეთება შეიძლება თავის მიზნის მისაღწევად. ჩვენს პარტიას ვერც ის შეაშინებს, რომ მის წინააღმდეგ ამხედრდება და დაირაზმე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბა მრავალი ძალები—ისეთები, რომელნიც წინეთაც სჩანდენ, როგორც ახ-ლი მტრები და ისეთებიც, რომელნიც წინეთ მეგობრის ქურქში იყვნენ გახვეული. ამითგან ჩვენ უნდა მოველოდეთ არა მარტო ახლისა და პა-ტიოსნურს შებრძოლებასა და წინააღმდეგობას, არამედ ასევე ქურდულსა და მზაკვრულს ხაფანგებს, პროვოკაციას და ათასნაირს ინსინუაციებს. ასეთი ქსელების გაბმასთან ერთად ეს ძალები ჩვენს წრეში დაიწყებენ მო-ღალატეებს ძებნას. ჩვენი სიმტკიცის შიგნიდან გატეხას მოინდომებენ. ყოველივე ამას ჩვენ უნდა მოველოდეთ, ყოველივე ამას ჩვენ მოველით; ყოველივე ამის საწინააღმდეგოთ ჩვენ მზათ უნდა ვიყოთ, და ჩვენ მზად ვართ. მრავალ სხვა იარაღსა და საშუალებას ვართ მოკლებული, მაგრამ ჩვენ უფვად ვართ აღჭურვილი მტკიცე რწმენით, რომ ჩვენი მიზნები სამა-რთლიანია და საბედნიერო ჩვენ ქვეყნისათვის, რომ ყოველი დღე და სა-ათი ამ მიზნების განხორციელებას გვიახლოვებს.

ასეთს ბრძოლისათვის, ასეთს შრომისათვის არასოდეს დაკლებია ჩვენს პარტიას მხნეობა, გარჯა, თავდადება და თავვგანწირვა. არც არასო-დეს დააკლდება ის საკეთილდღეოთ და საკიდბლათ ჩვენი ერისა!

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია
საზღვარ-გარეთის ცენტრალური ბიურო.

იდეა და პრაქტიკა
„მთლიანი ეროვნული ფრონტისა"

იდეა საქართველოს „მთლიანი ეროვნული ფრონტისა", როგორც ქართველი ერის მისწრაფებათა და სულისკვეთების პოლიტიკური სახე,— ბუნებრივია,—დაიბადა იმ პოლიტიკური პარტიის წიაღში, რომელიც ჩა-სახვა—დაბადებიდანვე თვითონ იდგა ეროვნულ ყველა ძალთა და ორგანი-ზაციათა შეთანხმებისა და თანამშრომლობის ნიადაგზედ.

ეს პარტია—ეროვნული დემოკრატია—ტრადიციულად განაგრძობდა ამ გამაერთიანებელ და სახელმწიფოებრივ მუშაობას, რომლის საძირკვ-ლებს, ჩაყრილს ჩვენს წარნათლებაგან და აღორძინებულს წარსულ საუკუნის მეორე ნახევრის მოაზვაწეთაგან,—მძაფრად ეკვეთა სოციალ-დემოკრატია დასანგრევად და აღმოსაფხვრელად—მეცხრამეტე-მეოცე საუკუნის გარ-დასავალზე.

მთლიანი ერი, მის შემადგენელ ნაწილთა ერთობით შედეგება, მისი ფენების თანამშრომლობა,—აი რა იყო ერ.-დემ. ლიზუნგი, მისი პროპა-განდა, მისი რეალური პოლიტიკა; კლასთა ბრძოლა, ერთძანეთის ამოგდე-ბა, საქართველოს სახსენებლის გაქრობა რუსეთის ცენტრალიზმისათვის — აი სოც.-დემ. სიტყვა და საქმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკუთრების შეძენას, შრომით ქვეყნის აშენებას, საწარმოვო ძალთა კოორდინაციას, რასაც ჩვენ ვასწავლიდით ხალხს სიტყვით და მაგალითით—დაუპირდაპირდა—სხვისი შენაძენის წართმევა და სოციალიზაცია, სხვისი ნაწარმოების გაფლანგვა-მითვისება და ყველა ამის „რევოლიუციის მონაპოვრად" გამოცხადებ.

მაგრამ პოლიტიკა არ არის მარტოოდენ პრინციპების ბრძოლა, იგი არსებულ ძალთა და გარემოებათა საუკეთესოდ გამოყენებაა ქვეყნისათვის და ეროვნული დემოკრატია,—ცხადია,—ყოველთვის სცდილობდა საქართველოს რეალური ცხოვრების უარყოფითი მოვლენების გამოყენებასაც კი ერის სასარგებლოდ.

ამიტომ იყო რომ ერ.-დემ.,—მიუხედავად ზემოაღნიშნული სრული და ძირითადი შეუთავსებლობისა, ატარებდა და ამტკიცებდა როგორც პატარა აქტებით, ისე საერთო ეროვნული ბრძოლითა და აღტკინებით ეროვნული ერთობის იდეას და საქმეს ს ხ ვ ე ბ თ ა ნ შეთანხმებით და მორიგებით.

დიდი ომის, რუსეთის რევოლიუციის, საქართველოს დამოუკიდებლობის და მეტადრე მისი დაკარგვის შემდეგ,—რეალურმა მოვლენებმა არა მარტო დაამტკიცეს ამ ერთობის იდეის სინამდვილე და სისაღე, არამედ სხვა პოლიტიკურ პარტიებსაც თანდათან ამ იდეისაკენ აქცევნეს პირი და განვლილ ისტორიის და მეტადრე 1922-24 წლის სისხლიანი გამოსვლებით, იგი უდაო მსნებად აქციეს—საქართველოს საზღვრებში.

სწორედ ამის გამომსახველი იყო 1922 წლის საქართველოში და აქ, პარიზში დადებული ხელშეკრულებანი, რომლის ძალით ერთდებოდნენ ყველა არსებული პოლიტიკური პარტიები—საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად—საერთო მტრის, რუსეთის გაძევებამდე.

მაგრამ ეს ხელშეკრულება, როგორც წინანდ ელი შეთანხმებანიც, მზაკვრულად ირღვეოდა იმ ხალხისაგან, რომელთაც საქართველოს დამოუკიდებლობაც ი ძ უ ლ ე ბ ი თ მიიღეს და ვერასოდეს გულით ვერ შეეგუვნენ.

1924 წლის საერთო და წინა წლების ნაწილობრივ აჯანყებათა შემდეგ—რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ, რომელნიც მიმდინარეობდნენ „მთლიანი ქართველი ერის" იდეის ქვეშ, აგრედვე ფაქტების სიძლიერით რომ დაჯდა უღლად მენშევიკებს,—კვლავ თითქო შეანათა „მთლიანი ფრონტის" აზრმა მათს გონებაში და 1925 წელს კვლავ გაიმართა მოლაპარაკება და დაიდ ხელშეკრულება პარტიათა და მთავრობის შორის, რომლის ძალით მებრძოლი საქართველოს წარმომადგენელნიც შევიდნენ ეროვნულ ცენტრსა და მთავრობის კოლეგიაში.

მაგრამ მათს ზურგს უკან აწარმოებდნენ მზაკვრულ „სამოყალაქო ომის" პოლიტიკას, რაც ისე აშკარად გამოირკვა ყორდანია-რამიშვილის ცნობილი და ყველა ორგანიზაციისაგან მალულად გაგზავნილი წერილებიდგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძნელია აღნუსხვა იმ ვერაგი და სიყალბეზედ აგებული ფაქტების რიგისა, რომლითაც მენშევიკები, მისი მთავარი ლიდერების სახით, პირით და კალმით არღვევედნენ და მუდამ შიგნიდანა შლიდნენ ამ საერთო ფრონტს და შეთანხმების მაგიერ მუდამ „სამარა განწყობილებასა" ჰქმნიდნენ ქართველი ერისა, პარტიებისა და ემიგრაციის ფარგლებში. აღნიშნულ წერილების გარდა, საკმარისია გავიხსენოთ ის პროვოკაციული გამოსვლები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ აქ და საქართველოში, დიდი თუ პატარა ისტორიული მოვლენების დროს.

ამ რიგად დაირღვა 1922 წლის „სახავო ხელშეკრულობათა სული", დაირღვა 1924 წლის აჯანყებით განმტკიცებული საქართველოს ერთობა და მისი «იურიდიული» შედეგი—1925 წლის ხელშეკრულობაც და აუტანელი ხდებოდა მათთან ერთ სკამზედ ჯდომა და ბევრმაც ვერ შესძლო და მიატოვა ასეთი „ფრონტი".

მაგრამ თვით ამ პოლიტიკური იდეის დამარცხების შინით; საქართველოდან არა ერთხელ ნაკარნახევი გრძნობათა და მისწრაფებათა რიდით, ჩვენმა პარტიამ კიდევე ერთხელა სსაფა თავისი ლოთიური საშუალებით მათთან მორიგება და 1927 წელს მიმართა მემორანდუმით ბ-ნ ნოე ყორდანიას, სსა განმეორებულ იყო ყველა ის საშუალებანი, რომლითაც შეიძლებოდა დაბზარული ფრონტის გამრთველება,

ე. ი. ფორმალურად დემოკრატიულ ხელშეკრულობათა კანონზედ, არსებითად ბოლშევიკური, დიქტატორული და მუდამ დამამარცხებელი სურათების ამოქარგვის თავის დანებება და მათ ადგილას კანონიერ და კონსტიტუციურ ცვლილებათა მოხდენა შიდა ფრონტის აღდგენისა, საქართველოსთან და მეზობლებთან კავშირისათვის და სხ. და სხ.

ამ მემორანდუმში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ შეუძლებელია ქვეყნის აშენება და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა ისეთი ორგანიზაციის საშუალებით, რომლის შიდა ფარგლებში და ფარგლებს გარეგ გამეფებულია უნდობლობა ურთიერთისადმი; სსა განსაკუთრებით ებრძვიან კოლეგიალობას და მიუხედავად მრავალი შეთანხმებისა, მუდამ ებრძვიან პრინციპს სიტყვის, წერის, მუშაობის და ორგანიზაციის მთლიანობა-თანაბრობას.

აღნუსხული იყო აქედან წარმომდგარი შეცდომები, ჩავარდნები, მარცხები და საერთო ზიანი საქართველოს ინტერესებისათვის და გაფრთხილება ასეთი პოლიტიკის არა მარტო მიზანშეწონელობის, არამედ მავნებლობისაც და ისტორიულ და ახზოგადო ნაწილს დართული ჰქონდა ის დადებითი სქემა, რომელსაც, უნდა კვლავ გაემრთელებინა ეროვნული ფრონტი.

ეს სქემა სრულიად მკაფიო მუხლებად იყო ჩამოყალიბებული, ჩვეულებრივ და საერთო სახელმწიფოებრივ ინტერესებთან შეგუებული და „მთლიანი ეროვნული ფრონტის" იდეით გამსჭვალული, მაგრამ გულუბრყვილო მიმართვით დასრულებული. ჩვენა ვსწერდით: „გაცნობებთ რა ყვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა ამას, იმედი და სრული რწმენა გვაქვს, რომ თქვენ.... ანგარიშს გაუწევთ ჩვენს კანონიერ სურვილებს და ლოიალურ მოთხოვნილებათ".

ეს მემორანდუმი, გარდა იმისა, რომ ბ-ნ ეორდანიამ მიიღო და კერძოდ დაგვიპირდა ყველაფრის გატარებას სმოვრეტბაში,—ოფიციალურად აც დაიისვა ყველა ინსტანციაში და ოფიციალურადვე იყო მიღებული სახელმძღვანელოდ ჩვენი შეთანხმებული მუშაობისათვის და ამის ძალით და ამ პროგრამის შესრულებისათვის იყო წარგზავნილი პარტიისგან ეროვნულ ცენტრსა და „ალეგეიაში" ახალი დელეგატი.

მაგრამ რა სულიერია ის სულიერი, რომელსაც, ქუჩასთან ერთად, სულის გამოცვლაც შეეძლოს? და ძველებურად განაგრძობდა უპასუხისმგებლოდ დარჩენილი დიქტატურა თავის ჯგუფურ, პერსონალურ, განსაკუთრებით სარეცხტვრიალიო პოლიტიკას; თუ, რასაკვირველია, დაერქმის პოლიტიკა იმ გამუდმებულ მარცხების, დაშლილობისა და დაკნინების პროცესს, რომელსაც ისინი განიცდიან და თანდათან ავიწროვებენ და ავიწროვებენ თავიანთ ფარგლებს, რომ ბოლოს ყინულის ნატეხივით დაილიენენ და წყალს მიეცნენ.

„ესა და ეს ორგანიზაცია დავფუშეთ"—აი სახელმძღვანელო ზოლი მათი პოლიტიკის, რომელსაც საფუძვლად დაუდვეს საშუალო საუკუნეთაგან გაცვეთილი იდეა: „ყველა ორგანიზაცია სცდილობს თავისი გავლენის გაფართოებას და თუ არ შევებრძოლეთით, არ მოვსპობთ, ჩვენ გამოგვეცლება ნიადაგიო". და ამისათვის, შექმნის მაგიერ, გააფთრებით შლიან რუსეთან მებრძოლ ყველა ორგანიზაციას, რომ მონოპოლია მათ დარჩეთ, ამით არსებითად რუსულ საქმეს აკეთებენ, „რუსეთის წისქვილზედ ასხვევენ წყალს", მათი გაცვეთილი ენით რომ ვსთქვათ,—რადგან თავის საკუთარი ორგანიზაციის გაელენას და რიგებს კი არ ამრავლებენ და აძლიერებენ, არამედ ასუსტებენ მუდამ და ამ გზაზედ უკანასკნელი მიღწევაა ერ.-დემ. პარტიის იძულებითი გამოსვლაც ამ ცენტრიდან

ვიკითხოთ ახლა თუ რად და როგორ მოხდა ეს უკანასკნელი გამოსვლა?

წელიწადმა გაიარა და როდესაც ერ.-დემ. პარტიის დელეგატმა თავი მოუყარა პარიზის კომიტეტისათვის დრო და დრო გაცნობილ ფაქტებსა და მოვლენებს— გამოვიდა მთლიანი სურათი, რომელიც წარდგენილი იყო*) წერილობითი მოხსენების სახით, როგორც ანგარიში მისი საკუთარი მოქმედებისა ცენტრში და თვით ამ „ცენტრის" მოქმედებისა.

აშკარაა, ეს სურათი ბევრით არ განსხვავდებოდა იმ სურათებისაგან, რომელსაც ერ.-დემ. პარტიის პარიზ. კომიტეტი დიდიხანია იცნობდა და რომლის წინააღმდეგ მუდამ იბრძოდა. მაგრამ თავისი დაუსრულებელი მოთმინებისა, პატრიოტიზმის სამსხვერპლოზედ მიტანით მეწშვეიკების გონებაში ჩაგდების იმედით, მაინცა სცადა უკანასკნელად და „მთლია-

*) 1928 წლის 2 გიორგობისთვეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნი ეროვნული ფრონტის'' იდეის ღ აპეიისათვის დაავალა თავის დელეგატს წარსდგომოდა ეროვნულ სენტრს დ..საბუთებული განსახადებით. და თუ ახლო საბოლოო გ ა რ ა ნ ტ ი ე ბ ს არ მიიღებდა ,,საერთო ფრონტის', სინამდვილისას –არსებულ დეკლარაციების მაგიერ—განეცხადებინა ერ.-დემ. პარტიის გამოსვლა ასეთ სენტრიდან.

აი ეს უკანასკნელი ცდა გახადეს საბოლოო ფორმალურ საბამად და არსებითად კი დიდი ხნის შეუთავსებლობის მაზეზად მენშევიკებმა—ერ.-დემოკრატიასთან გასაყოველად.

როგორი იყო შ ი ნ ა ა რ ს ი ამ განცხადებისა? ჩვენ არ შეგვიძლიან საგაზეთო წერილში მოლად მოყვანა ამ ,,დოკუმენტისა'', მაგრამ არსებითად იგი არ განსხვავდებოდა წინანდელი მემორანდუმისა, შეთანხმებათა და ხელშეკრულებათა სულისაგან:

,,ი დ ე ა, რომელიც დაედო საფუძვლად ,,საერთო ფრონტს'' აქ და საქართველოში,—ე. ი. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა დემოკრატიულს ნიადაგზედ—წინანდებერადა რჩება შესაძლებელ ბაზად ყველა პოლიტიკურ პარტიათა, მიმართულებათა და საერთოდ ქართველი ერის ერთი მიზნისათვის დასარაზმავად.

,,მაგრამ ,,ეროვნული სენტრის'' არანორმალური მუშაობა და ის პერსონალური პოლიტიკა, რომელიც გამეფებულია ,,საერთო ფრონტის'' სახელით—ფაქტიურად აუქმებს არა მარტო საერთო ფრონტის იდეას, არამედ სისტემატიურად არღვევს ყოველგვარი ორგანიზაციის და შეთანხმების საშუალებასაც ამ იდეის გარშემო.

,,არა მარტო დარღვეულია და ირღვევა საქართველოში და საზღვარგარედ არა ერთხელ განახლებული ხელშეკრულობანი პარტიათა და მთავრობის შორის, არამედ იმ დიქტატორული, არადემოკრატიული სულისკვეთების გამო, რომლითაც მთელი რეალური ძალა-უფლება და საშუალებანი, პოლიტიკის სადავე ჩაგდებული აქვს ხელში ორიოდე პირს—თანდათან დაეცა პრესტიჟი საერთო ფრონტის იდეისა ყველა წრეებში და გაზარდა საერთო დაბნეულობა და ოპოზიციური ელემენტები.

,,ის უნდობლობის ატმოსფერა, რომელიც გამეფებულია ეროვნულ სენტრის შიდაფარგლებში და მის გარეგ—სრულიად შეუძლებელად ხდის ნორმალურ მუშაობას და დიდი და პატარა საკითხები თვეობით გადაუწყვეტელი და განუხილველი რჩება ან სწყდება და მიმდინარეობს სენტრ ი ს გარეშე....

(ვსტოვებთ დეტალებს).

,,ასეთი ანორმალური, არა დემოკრიტიული რეჟიმის წყალობით თანდათან იფუშება ყველა ჩვენი საქმე, იშლება ორგანიზაციები, გვშორდება ხალხი და ეროვნულ საქმეს, გაუჭაობესების მაგიერ ეთხრება ძირი.... და კავშირი მეზობლებთან აგებულია მხოლოდ სათვალთმაქცო ნიადაგზედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„განწყობილება დემოკრატიულ და სოციალისტურ წრეებთა თანდათან სუსტდება იმ უტაქტობის გამო, რომლითაც დიქტატურას უსდება ორ სკამზედ ჯდომა... ჩვენ ვერ მოვიპყრობთ ვერც მემარჯვენე ....მიმართულებათა სიმპატიებს, რადგან სისტემატიურად ვერევით სხვის საქმესა და რეჟიმში და ვგმობთ მათ.

„საერთოდ ვაწარმოებთ უპასუხისმგებლო მოღვაწეთა პოლიტიკას და არა სახელმწიფოებრივ-ეროვნულს.

„ეროვნულ-დემ. პარტიას არა ერთხელ მიუთითებია ასეთ მდგომარეობაზედ და მოუთხოვნია მესაწორებანი ალაკე, კონკრეტული მოვლენების გამო და უკანასკნელი შეთანხმების შემდეგ.... გადაეცა მემორანდუმი, საცა საერთო მოსაზრებათა გარდა, მუშლობრივ იყო აღნიშნული თუ რის გაკეთებაა საჭირო არსებულ მდგომარეობის გამოსასწორებლად. ეს მემორანდუმი განხილული და მიღებული იყო ეროვნული ცენტრისაგან, მაგრამ პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, ძველი მდგომარეობა... უფრო განმტკიცდა და.. დადასტურდა.

„ასეთი მდგომარეობა რომ ეროვნულ საქმეს წინა სწევდეს—ჩვენს პარტიას საწინააღმდეგო არაფერი ექნებოდა... მაგრამ როდესაც ჩვენს მოქმედებას მარცხს მეტი არა მოსდევს რა... (ჩამოთვლილია მთელი რიგი შეუწყნარებელ მარცხებისა)... და სხ. ერ.-დემ. პარტია სთვლის მიუღებლად ასეთი მდგომარეობის გაგრძელების პასუხისმგებლობის აღებას თავის თავზედ და... მოითხოვს შესაფერ შინაგან რეორგანიზაციას".

შემდეგ ჩამოთვლილია ამ რეორგანიზაციის მთავარი დებულებანი, რომელნიც არსებითად არ განირჩევიან არაფრით წინანდელ შეთანხმებებისაგან, გარდა საგანანტიო მუხლებისა, რომ ისინი ნამდვილად შესრულებულ იქმნენ.

აი ამ საგარანტიო მუხლებმა შეუცვალეს აბიერად შეთანხმებათა მიღების იერი—პირდაპირ უარისმყოფელ იერა ი ზნე და სიტყვები—ჩვენს დიქტატორებს.

და რითი გვიპასუხეს იმავე შინაარსის მოთხოვნილებათა რიგზედ, რომელზედაც წინად ყოველთვის გვეთანხმებოდნენ, მაგრამ აგრეედვე ყოველთვის არ ასრულებდნენ?

რადგან წინანდებური უპასუხისმგებლო თარეში შეუძლებელი ხდებოდა მოთხოვნილ გარანტიების გამო, გვიპასუხეს მტკიცე უარით:

1929 წლის 24 იანვრის თარიღით მირთმეულ განცხადებაზედ, რომელიც განხილულ იქმნა მხოლოდ 6 აპრილს, პასუხი მოგვცეს პირდაპირ შეურაცხმყოფელი და უარმყოფითი, ახდილი საშვალებებით:

იმავე სხდომაზე ჯრბრით აღადგინეს, მათგანვე ორი წლის ვანმავლობაში უკუგდებული და ფეხით გათელილი „დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი", დანიშნეს ახალი წარმომადგენელები („ამხანაგები"); ჩვენივე განცხადება გამოაცხადეს კონსტიტუციის(?) დარღვევად, მოინდომეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურგიდან შემოვლა და მრავალი სხვა ფრიმალებით შეჰქმნეს ისეთი ატმოსფერა, რომ გვაიძულეს დაგვეტოვებინა ისეთი ცენტრი, საპა—ამას მკითხველი ზემოდ მოყვანილიდგან ნათლად დაინახავს—1922, 24, 25, და 27 წლის პირობათა ცბიერად მიმღებმა და გამტეხელმა კამარილიამ უკვე მოურიდებლად აიხადა პირბადე.

შაუძლებელი ღა ვახდა დარჩენა ისეთ ცენტრში, საპა სისტემატიურად ებრძვიან საერთო ფრონტს, რადგან ეს იდეა მათი იდეა არ არის და ძალადა აქვთ მოხვეული თავზედ მათი ბუნებისათვის გარეშე ძალთა ზედმოქმედებით და ჩვენ აღარა დაგვრჩენოდა რა, გარდა იმისა, რომ გვესარგებლნა პარტიისაგან მოცემული მანდატით და იქიან წამოვსულიყავით, იმის შემდეგ, როცა ყველა საშუალება ვიხმარეთ ეა ამაოდ დარჩა და როცა აუარებელმა მარცხებმა ამ ხალხს ჯაჯა ვერ ასწავლა.

ამ რიგად დიდი იდეა „მთლიანი ერი ეა" მათ ხელში გადიქცა ისეთივე დეკორაციად, როგორც თვითონ ისინი აქცია ცხოვრებამა და ისტორიამ და ცოცხალი სულის ჩაბერვა ამ პატივსემელ გვამიბში შეუძლებელი გახდა. ეტყობა, ამაოა ჩენი ცდა, რადგან ჩვენი წამოსვლის შემდეგაც მარტოოდენ სადეკორაციო ხუხულებს აშენებენ, თორემ საკუთარი ბედის ჭედვაში, ქართველ მა ერმა კარგა ხანია თავი დაანება ამ ხეტთა ჭედვას. ეა იმედია, ამ უკანასკნელთა სრბოლა უფსკრულისაკენ თან არ გადაიყოლებს კიდევ ერთხელ საქართველოსაც.

რ. გაბაშვილი.

ორი თაობისა
და კიდევ ერთი შესამის შესახებ.

ქართულ ემიგრაციას წიგნი არა აქვს. ამითი აიხსნება, რომ ყოველი ქართული წიგნი, ან წიგნაკი, ემიგრაციაში გამოსული, დიდ ყურადღებას იპყრობს. ბ. ალექსანდრე ასათიანის «ძველი და ახალი მემკვიდრეობა» წიგნაკი არ არის და მთელი წიგნია. იგი, თუ გნებავთ, ისტორია არის მეცხრამეტე საუკუნის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების მსვლელობისა. ავტორი აწმყოს ნიადაგიდგან არ ჩამოდის და ისე მიჰყავს მკითხველი ახლო წარსულში, იმ თაობის წიაღში, რომელიც ჩვენგან ზურგით მესამეა, სახელად მესამეცე წლების თაობა ჰქვიან და იმ საუკუნის მანძილზედ ყველა თაობაზედ შესამჩნევ როლს თამაშობდა.

ბ. ასათიანის წიგნი განსაკუთრებით ჩვენი ახალთაობისათვის უნდა იყოს საყურადღებო. დღევანდელი ქართული უკუღმართობის მიზეზით, ეს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალთაობა ყველაზედ ნაკლებ სწორედ ამ მესამესე წლების თაობის ისტორიას იცნობს. ამ ახალთაობამ არა ის იცის, რომ თავის დროზედ პროგრამა, მოდეკაწეობა და მიღწევანი ამ თა ობისა შემდგომმა თაობამ იერიშით აიღო, იმისი ფასი და მნიშვნელობა უარჰყო და თითონ თაობაც პიხის გალავანზედ დასაჯა. მაგრამ ამ წიგნიდგან მკითხველი გაიგებს—რა კეთილშობილი, რა ნიჭიერი, რა განათლებული, რა საღი და რის შემძლე თა ობა იყო ეს თაობა, როდესი დაგვიტოვა საქმენი და იდეები, რომლებიც ჩვენთვის დღესაც გამოსადეგარნი არიან და როგორ სცდებოდა მათი შემ-ცველი ახალი თაობა, როდესაც ფიქრობდა რომ ეს გამარჯვება სამუდამო და სრული იყო.

ბ. ასათიანის წიგნი დაწერილია ერთის მიზნით დავრთის შინაარსით —როგორი უნდა იყოს ქართული ადეალი და მისი განსახორციელებელი ხერხები? მაგრამ რადგანაც იგი ორს ერთი მეორეზედ მომდევნო თაობას ეხება, შეფასება აკ შედარებას უდრის. ეს ნაკლი არ აროს და წიგნს, პირიქით, ღირსებათ უნდა ჩაუთვალოთ. ისტორია შედარება არის. ამ შედარების დროს ერთნი მუდამ იგებენ, მეორენი ულმობელად აგებენ. შეცდომა იქნებოდა ამ წაგებული ხალხის ბურტყუნს დიდი ანგარიში გაეწიოთ და ესოვრების იმ გამარჯვებულ ნაკადს არ გავყვეთ, რომელიც თავისაკენ გვიძახის და რომელსაც თავისკენ მივყევართ. ბ. ასათიანის წიგნის დედაარი სწორად ეს არის.

მესამესე წლების მოღვაწეთა დახასიათება, ესოველი სურათი იმათის მიღწევათა ჯამისა—ნამდვილი მისწრება არის ჩვენი დღევანდელი იდეოლოგიური განსდებისათვის. მკითხველი სულ ადვილად დაიჯერებს, რომ ქართველი ერი დღესაც იმ კულტურული, იდეოლოგიური და ეროვნული ნობათით იკვებება, რომელიც, როგორც ისტორიული ანდერძი, ამ თაობამ გაიმეორა და, როგორც ეხლა ირკვევა, ჩვენთვ ისაც სახელმძღვანელოდ დასტოვა. იგი დარწმუნდება, რომ საღი ეროვნული მისწრაფება დღევანდელი ქართველობისა ამ საქმიანობის გაგრძელება არის და ჩვენი სულიერი კავშირი ამ მესამესე წლების თაობასთან უფრო დიდი, მჭიდრო და ესოველია, ვიდრე იმ თაობასთან, რომელსაც ქართული ასპარეზი კარგა ხნით ეჭირა, მაგრამ არა ქართულ ეზრებს ქადაგობდა.

თუ იმ სტილს ვიმბარებთ, რომელიც ნოე ჟორდანიამ ილია ჭავჭავაძის შემდეგ ქართულს ეზროვნებაში შემოიტანა და ვერ გაამეფა, საქმე გვაქვს ჰეგელისებურ ტრიადასთან, რაც ქართულის სინამდვილის მიხედვით ასეთს ფორმულაში ჩამოისხმება: ილია ჭავჭავაძე—ჟორდანია—ისევ ილია ჭავჭავაძე! ეს ეზრი წიგნს წითელ ზოლივით გასდევს.

რას ნიშნავს ეს ფორმულ. , ეს ჟორდანიას შემდეგ «ისევ ილია ჭავ-ჭავაძეა»? რას ნიშნავს ეს ტრიადა, ეს «ტეზრესი»? კათოლიკე მარქსისტები ჩვენს დროში როგორღაც ამოვარდნენ, გამოიცვალა თითონ ნოე ჟორდანიაც, რომელიც «მეცნიერული სოციალიზმის» ნაცვლად, დღეს «აგრარულ სოციალიზმს» ქადაგობს. და მე ძალიან მეშინიან, რომ ამ დიალექტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კას ყველაზედ ნაკლებ სწორედ სოციალისტები გაიგებენ მართლაც, რეგრესი იქნებოდა თუ არა, რომ მეორე და მესამე ინტერნაციონალის ხანაში ქართველი ერი ი. ჭავჭავაძის იდეოლოგიას დაუბრუნდეს? ავტორის გულდადებული Ода мѣсяцамъ წლების მოღვაწეთა ბრბების დალაგებისა, შეძლებას გვაძლევეს ვიფიქროთ, რომ ასეთი დაბრუნება «ძველისადმი» რეგრესი არ იქნებოდა. ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობაში და იდეოლოგიაში ძველი არის ჩვენთვის წლები, როდესაც ის ფიქრობდა და არა ფიქრები, რომელსაც ის ქადაგობდა. ჩვენ ეხლაც გვიყვარს რუსთაველის კითხვა, მაგრამ ამას ლიტერატურული რეგრესი და მეოცე საუკუნიდგან ზურგით უკან მეცამეტე საუკუნისაკენ სვლა არა ქქვიან. არიან ჭეშმარიტებანი, რომლებიც ჩვენზედ ფრინარეს სცხოვრობენ. ილია ჭავჭავაძის შემდეგ ქართულ ეროვნულ იდეოლოგიაში ახალი არაფერი თქმულა. ახალი მხოლოდ ნიე ჟორდანის თეორია იყო, რომელიც საქართველოს ისე ადგა, როგორც კაბა ქარიშხალში ჩაცმული და მერე ამ ქარიშხლისაგანვე დახეული. ეს იდეოლოგია ცხოვრებამ უარყო.

მაგრამ ეს არა ნიშნავს, რომ როდესაც იდეოლოგია უარყოფილია ცხოვრებისაგან, შეკეთება იმავეს უნდა, ან ახალი თითიდგან უნდა ამოვწოვოთ, თითი ვერაფერი ძუძუ არის საზოგადოებრივი განვითარების გამოსაზრდელად. გადასინჯვა სწორედ განვლილ ცხოვრებას უნდა. მხოლოდ იქ წარსულში, ინახება ხალხის გენიისაგან გაზრდილი აზრები, ნაცადი ფიქრები, ნახმარი ხერხები. და აი გასაოცარი რამ! საკმაო არის ერი ამ თავის ნაცად აზრებს დაუბრუნდეს—ერთი რამ აშკარა ხდება: «ძველი» აზრები საოცრად უდგებიან ახალ გარემოებას, ისინი შესანიშნავად იგუებენ ახალი დროის მოთხოვნილებას. რა მიზეზით ხდება ასე? იმ მიზეზით, რომ ჭეშმარიტება ყველა ეპოქისათვის ერთი არის და იმისი ფასი მით უფრო მეტი არის. რაც უფრო ჩვენზედ ადრე არის იგი დადგენილი, იმის მხარეზედ მაშინ თვით ისტორია არის.

ეს ისტორიული ნაცადობა უცვლელი თავდარიგი არის კაცობრიული მისწრაფებისა. ჟორდანის თაობას სწორედ ამისი შეგნება აკლდა. ეს თაობა იმდენად იმაზედ არა ფიქრობდა, თუ რა სავალდებულო დასკვნები აქვს შედგენილი ისტორიას, როგორნად იმაზედ თუ სად უნდა მივიდეს იგი. ამიტომ ამ თაობამ უცბად შესწყვიტა კავშირი ისტორიასთან. ირაკლი წერეთელი სწერდა: წარსული მძაგს, აწმყო მეზიზღებაო! მაგრამ წერეთელის ეს პესსიმიზმი არაფერია შედარებით ნოე ჟორდანის იმ პირველყოფილ სიხარულთან, რომელიც საქართველოს მთლიანად tabula rasa-დ აცხადებდა. აქ სახიზღო და სამძულვარაა აღარაფერია. ისტორია აქ მასხარას მხიარული ჩაჰი გამოდის! მათის ლექსით ეს რევოლიუციონერი აზროვნება იყო. მაგრამ ეს მხოლოდ ისტორიული მეხსიერების დაკარგვა იყო. ისტორიის ადგილი ამ რევოლიუციამ დაიპყრა, ტრადიციისა—თეორიამ. ამ თაობამ ილია ჭავჭავაძის თაობას სასტიკი ომი გამოუცხადა —და აჯობა! მას აქედ ოცდაათი წელიწადი გავიდა, დღეს ცნობის მოყვარე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხალხი ამ საგანს იკვლევს და კითხვასა სვამს: იყო ეს ნამდვილი ჯობნა თუ არა? ეს აზხოვრება პასუხს იძლევა, რომ ეს გამარჯვება, თურმე ნამდვილი ჯობნა არა ყოფილა. იოკვლევა რომ რევოლიუციები და თეორიები იმარჯვებენ დროზედ და ადამიანებზედ, რომლებიც ამ ისტორიულ სულსა და ტრადიციებს ატარებენ და არა თვით ამ სულზედ, ამ ტრადიციაზედ. რამდენს კისერს დასწვდომია რევოლიუციის ნაჯახი, რამდენი ჩასულა თაობა რევოლიუციისაგან თავმოკვეთილი, რამდენი ყოფილა რევოლიუცია, რამდენი შეცვლილა თეორია, მაგრამ ეშმარიტება ვერავინ შესცვალა.

უკუგდება იმისი რასაც ილია ჭავჭავაძე და იმისი თაობა ქადაგობდა ისევე შეუძლებელი იყო, როგორც ამ ეშმარიტებისა. მაგრამ ის დასთრგუნა თეორიამ სადამ და რევოლიუციამ ხარბმა, როგორც ღამე სთრგუნავს დღეს, ბოროტი-კეთილს! რა არის გასაკვირველი, რომ როდესაც ამ თეორიებმა და რევოლიუციებმა ქართველ ერს უტეხ-ურების მეტი არაფერი დაატეხეს თავზე, ხოლო მათი ავტორები აზხოვრებამ ბოლოზედ გარიყა, ილ. ჭავჭავაძე, იმისი თაობა, იმათი აზრები მოვიგონოთ. ალ. ასათიანი ამბობს რომ ნამდვილი შეგნება და მისწრაფება სწორედ ამ თაობას ჰქონდა, რომ საქართველოს ეროვნული სხეული სწორედ მაშინ იყო ფიზიკურად მაგარი და სულიერად საღი და რომ სხეულის დამბალა და სულის ავადმყოფობა ქართველ ერს შემდეგმა თაობამ დამართა.

წიგნის მეორე ნაწილი ამ «დამბლას» დაუნდობლად ააშკარავებს. ასათიანის კრიტიკა ქართველ სოციალისტებისა მოსწრებულია და თან მართალი. ევროპაში, ესე იგი თავის სამშობლოში. ეს ს ოციალიზმი პროლეტარულ sabot-ში დადიოდა. ამ სოციალიზმის ტემპისა და სიზუსტადოთ იმისი ხასიათის გამოსარკვევად ამ პატარა გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვს, ამ უშნო sabot-ში ფეხ წაყოფილი ევროპიული პროლეტარიატი ისე მარდი ვერ იქნებოდა და იმისი სოციალური რევოლიუცია ზანტი გამოდგა. როდის იქნება და როგორ იქნება ჯერ კიდევ ღმერთმა უწყის! სულ სხვა იყო, როცა ამ სოციალიზმმა ქართულ მესტებში წაჰყო ფეხი. ამ მჩატე ფეხსაცმელში გამოპრანჭული სოციალური რევოლიუციონერ ჩვენებურად მარდი და, მართლა, ანნაურულად ჩხუბისთავი გამოდგა. ამ დავიდარაბაში და დაკა-დაკაში, რომელიც სრული ოცდათი წელიწადი აყენებდა ჩვენში მტკვერს, «ფიშტოო», სატევარი და ჩვენებური კაიბუბუნა უფრო თამაშობდა როლ ს, ვიდრე კაპიტალი. საწარმოო იარაღის ადგილი აი, ამ საჩხუბარმა იარაღმა დაიჭირა და ეს წმინდა ქართული ჭირვეულობა სოციალურ ბრძოლად საღებოდა. და მერე სად, რომელ ქვეყანაში?

დავით სარაჯიშვილის სიკვდილისდღეებში, ნოე ჟორდანიამ თითონ გვიამბო—ჩემის აზრით, შეკანიშნავ წერილში—რა იყო დარდი ამ ჭკვიანი ქართველისა, რომელიც მარქსიზმს განათლებული კაპიტალისტის თვალით უსაქერდა. სარაჯიშვილმა საქართველოში თავისი მეგობარი და გამოჩენილი ეკონომისტი ადოლფ ვაგნერი ჩამოიყვანა, ჩვენი ქვეყანა დაატარა და შემდეგ აზრი ჰკითხა. ვაგნერმა გერმანულის პირუთვნელობით უთხრა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ საქართველო ჯერ კიდევ მეცამეტე საუკ. ცხოვრებით სცხოვრობდა. ადვილი წარმოსადგენია რა სასოწარკვეთილებაში უნდა ჩაეგდო ამ გარემოებას ევროპიული პროგრესის და თავისი ქვეყნის მოტრფიალე დავით სარაჯიშვილი. აი, ის ქვეყანა, სადაც ეს სოციალური რევოლიუცია ხდებოდა! რა არის გასაკვირველი ამის შემდეგ, რომ ქართული სოციალიზმს ალ. ასათიანი აზნაურულ იდეოლოგიას უწოდებს? ვის შეეძლო მართლა, ასეთ ღარიბსა და ჩამორჩენილ ქვეყანაში ასეთი მოცლილ აზრების ქადაგება, თუ არა «აზნაურობას»!? შემდეგში ნოე ჟორდანია თითონ მიხვდა, რამდენი უნიადაგობა იყო იმის სოციალურ ქადაგებაში და თავისი ნაწერების უკანასკნელ გამოცემის წინასიტყვაობაში ამბობს—ჩვენი თავდარიგი არ გამართლდა და საქართველოში კაპიტალი ისე სწრაფად არ განვითარდა» როგორც წარმოდგენილი გვქონდაო. მაგრამ ჟორდანიამ ისეთი ეროვნული ენიამულის დროსა სთქვა ესა, როცა ქართული საზოგადოებრივი აზრის გულის ყური სხვა უფრო დიდი საკითხებისაკენ იყო გადაბრილი და ჭეშმარიტების გამარჯვებისათვის ეს განსხვადება შეუმჩნეველი დარჩა. ილია ჭავჭავაძის თაობა სწორედ ამას უმტკიცებდა ჟორდანიას. ჩვენ, რომლებიც არც ჭავჭავაძის თაობას ვეკუთვნით და აღარც ჟორდანიას, მაგრამ ეროვნულ იდეოლოგიაში ჭავჭავაძის თაობ ს ხაზს ვიცავთ, უფლება გვაქვს ვსთქვათ, რომ ასეთი განსხვადების შემდეგ მესამოცინან მოღვაწეთა აზრები დღის წესრიგში დგებინან. რა თქმა უნდა ეს რეგრესი არ იქნება. რეგრესი და ნომალია იყო ის დოქტრინორობა, რასაც ეგრედ წოდებული ,,მესამე დასი'' ქადაგებდა ჩვენში წინააღმდეგ ცხოვრების ლღოლიკისა, ქართველი ერის მუდმივი ისტორიული ტრადიციებისა და მისწრაფებისა.

ასათიანის წიგნის ბოლო ნაწილი სწორედ ამ ანომალიას ეხება. ავტორი აქ უფრო ,,პოლემისტია—ვიდრე კრიტიკოსი, თანამედროვე ისტორიკოსი. ზოგმა შეიძლება იფიქროს, რომ ავტორი თავის თანამედროვეებს იმ ობიექტიურობით არ უდგება, რომელსაც ირეს მესამოცე წლების მოღვაწეთა მიღწევების განხილვის დროს. მაგრამ ობიექტიურობა საჭიროა არა მარტო ავტორისათვის მკითხველისათვისაც. თუ მკითხველი მოინდომებს, ჩვენი დროისათვის სასარგებლო სიმართლეს ამ პოლემიკაშიაც იპოვნის.

როგორია ეს სიმართლე? სასტიკი ჩვენი ისტორიული განაჩენისათვის, მწარე ჩვენი ეროვნული თავმოყვარეობისათვის. მაგრამ ის უნდა ითქვას. უმჯობესი არის სინამდვილე, თუნდაც მწარე ვიდრე ილუზიები. 1921 წელს დაემზო არა მარტო საქართველოს დამოუკიდებლობა. დაემზო იმისი სახელმწიფო რეჟიმიც. მას აქეთ 9 წელიწადია გავიძახით, რომ ეს გვიყო რუსეთმა, ეს გვყო ბოლშევიზმმა. ათასჯერ მართალია, მაგრამ განა მარტო ეს არის სიმართლე? ბოლშევიზმმა დაღუპა საქართველო, მენშევიზმმა ვერ იხსნა იგი—აი, სრული სიმართლე! ეს სრულის შეგნებით უნდა ითქვას. ასათიანი თავის წიგნში ამბობს, რომ ისეთი სწრაფი დასასრული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ომისა, რომელმაც ქართველ ერს ხელიდან დამოუკიდებლობა გამოსტაცა—მენშევიზმის მარცხი იყო. ისტორია ასამართლებს არა მარტო იმას, ვინც პირველი იწყებს ომს, იმასაც—ვინც ომის დახვედრა არ იცის. ასათიანის წიგნი მხოლოდ ყდაში ჩასმული განაჩენია იმ საზოგადოებრივი მსჯავრისა, რომელმაც ქართველი ერის ცხოვრებაში უკვე ახალი ეპოქის დასაწყისი აღნიშნა. ეს აფთარი კილო ამითი აიხსნება. ვისაც ხალისი აქვს, უპრიანიაციმისა—ავტორს ეს კილო უსაყვედურო. მაგრამ რას ნიშნავს სხვების ეს საყვედური, როცა ავტორიცა და წიგნიც თითონ არიან აღსავსე საყვედურით თავისი ქვეყნის ბედზე, იმის თავგადასავალზე, იმის სამწუხარო აწმყოზე.

შ. ამირეჯიბი.

ეროვნულ-დემოკრატიული პოლიტიკის გზები.

მოხსენება ბ-ნ ალ. ასათიანისა*)

ქართველმა ერმა მრავალი საუკუნე გადალახა თავის არსებობის მანძილზედ. მან მრავალი სახელმწიფოებრივი და სოციალური წყობა და წესი გამოსცადა თავის განვითარების შორეულს გზაზედ. ძნელად თუ მოიპოვება სხვა ერი, რომელსაც ცხოვრების ამ ზომად ცვლებადობა ეხილოს, ამოდენა შემოსევა, დარბევა და აკლება გადაეტანოს. იშვიათია მაგალითი, რომ ერს ამოდენა ძალა დაეხარჯოს, ამოდენა სისხლი დაღვაროს, ამოდენა თავდადება და თავგანწირვა გამოეჩინოს თავის არსებობის დასაცავად, შესანარჩუნებლად.

ჩვენი დროც ასეთი ბუნებრ ს გამოდგა. ერთი თაობის მანძილზედ მრავალი ცვალებადობა და გარდატეხა განიცადა ჩვენმა ეროვნულმა ცხოვრებამ. ცხოვრების ასეთს პირობებს, მათ მიერ გამოწვეულ ცვლილებებს და აღძრულ კითხვებს შესწავლა უნდა, გაგება, და შეფასება. ამ ჟამად ჩვენი მიზანია ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულებისა და პარტიის საქმიანობისა და აზროვნების უმთავრესი ხაზების აღნიშვნა და მით გამჟღავნება იმ საზრდისა, რომლის შემწეობით აფასებს ის ჩვენი ცხოვრების ყველა კითხვებს.

როგორც იყო მოსალოდნელი, ჩვენი წარსულის მიხედვით, „მეგობრული" რუსეთის მიერ საქართველოს სახელმწიფოებრივი დაქცევა გასულ

*) წაკითხულ იქმნა 22 ივნისს, პარიზში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საუკუნის დასაწყისს, სად ჯერო არ გამოდგა. სისხლიდან დაცლილმა ერმა, განადგურებულმა სხეულებრივად და ნივთიერად. მსირედ დაისვენა, ძალა მოიკრიბა და კვლავ შეუდგა ახალს ბრძოლას ეროვნული აღდგენისათვის, სახელმწიფოებრივი არსებობის დაბრუნებისათვის.

მესამოსიანთა დასმა წარმოშვა ამ მიზნებისათვის პირველი დიდი ეროვნული დარაზმულობა. ის თავიდანვე ეროვნული დემოკრატიის გზით მიდის. ამ დასის მშვიდობიანი მოღვაწეობა ცხოვრების ყველა სასპარეზზედ, მისი საქმე და სიტყვა და მისი ბრძოლა თავდადებითა და თავგანწირვით აღვსილი ემსახურებოდა ეროვნული სახელმწიფოებრივობის აღდგენისა და მისი დემოკრატიულ საფუძვლებზედ აგების მიზნებს. სამოცი წლის ბრძოლა და მუშაობით ეს მიზნები ჯერ კიდევ არ არის მიღწეული. ამ მანძილზედ მხოლოდ სამი წელი გამოერია ეროვნულ სუვერენობით აღჭურვილი. შემდეგ ამისა მეფის რუსეთის უღელი რევოლიუციური რუსეთის უღლით შეიცვალა.

მონობაში არ დამყარდება კეთილდღეობა არც პიროვნული და არც ეროვნული. თავისუფლება მიუსილებელი პირობაა ეროვნულ ძალთა ბუნებრივი განვითარებისათვის, მისი სულიერ და ნივთიერ ღირებულებათა დაცვისა და ამაღლებისათვის. ეროვნული დემოკრატია კვლავ განაგრძობს ბრძოლას საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენობის აღდგენისათვის და ის არ დასტოვებს ამ ბრძოლას, სანამ ის გამარჯვებით არ დაგვირგვინდება.

მაგრამ ეს ეროვნული სუვერენობა, უზენაესი სახელმწიფოებრივი უფლება-მოსილობა არასოდეს იქნება დაცული და უზრუნველყოფილი, უკეთუ ის არ აშენდა მტკიცე სახელმწიფოებრივ საფუძვლებზედ. ჩვენმა ახალმა ეროვნულმა აღორძინებამ, მესამოსიანთა დასის მიერ გამოწყებულმა, თავიდანვე მიიღო ხალხისული, დემოკრატიული მიმართულება. დაწინაურებულ ერთა ცხოვრება ამ გზით მიდის, ვინაიდან დემოკრატიული წყობა ყველა სხვა წყობაზედ უფრო შეეფერება თანამედროვე ცხოვრების ეკონომიურისა და კულტურული განვითარების მოთხოვნილებას. ის ყველა სხვა წყობაზედ უკეთ აკმაყოფილებს მოქალაქის პიროვნულ უფლების შეგნებ ს. თავისუფლება და თანასწორობა მიუსილებელი პირობაა ეროვნულ ძალთა ბუნებრივად განვითარებისათვის, მთელი ერის ენერგიებად და ქონებრივად ამაღლებისათვის. ამის მიხედვით ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ეწინააღმდეგება მთლიან ეროვნულ სხეულიდან გამოყოფას და გამოსალკვეთას რომელიმე ერთი კლასის, წოდების თუ ჯგუფის და მის აღჭურვას განსაკუთრებულ უფლებებით. უპირატესობებით, მისთვის ჰეგემონიის მინიჭებას და ქვეყნის მარილად გამოცხადებას. ეროვნული დემოკრატია მტკიცედ იმიჯნება ასეთი მიმართულებებისაგან, სულ ერთია მემარჯვენეა ის, თუ მემარცხენე. ჩვენი ცხოვრების პირობები

30ᲐᲠᲝ

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ხალხის შეგნება არ ეგუება ასეთს არა დემოკრატიულ მიმართულებას. ამით აიხსნება, რომ ყველა არა დემოკრატიული მიმართულებანი, რომელნიც კი არსებულან ჩვენში, მემარჯვენე-წოდებრივი, თუ მემარცხენე— ბოლშევიკური და მენშევიკური, მუდამ იყვენ პირიმში შვილი რუსული სინამდვილის, მისი რეაქციისა თუ მისი რევოლიუციის. იქ ჰპოულობდენ ისინი თავის სათავესა და თავის გაძლიერების წყაროს. ვისაც სწამს სახელმწიფოებრივობა, იმან უნდა იწამოს ასევე ამ სახელმწიფოებრივობის აშენების აუცილებლობა მთელი ერის უფლება-მოვალეობის თანასწორობის საფუძველზედ.

ეროვნული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის უმთავრესი საგანია ამ სახელმწიფოებრივობის დაცვა, როდესაც ის არსებობს და მისი მოპოვებისათვის ბრძოლა, როდესაც ის დაკარგულია. ხოლო ამ სახელმწიფოებრივობის დაცვისა თუ მოპოვების საქმის უზრუნველყოფია ეროვნულ ძალთა—სხეულებრივი, ქონებრივი და გონებრივი სიმტკიცე. ასეთი სიმტკიცე შეიქმნება მხოლოდ სადი ეროვნული პოლიტიკით. ხალხთა ცხოვრების განვითარებას გაკაფული აქვს და გამეღავნებული ასეთი პოლიტიკის გზები ყოველს პირობისა და მდგომარეობისათვის. ამ ცხოვრების მაგალითებით ნაკარნახევია უწინარეს ყოვლისა შემოკრება ეროვნულ ძალთა, მათზე დაყრდნობა და მათი გაძლიერებისა და განვითარების ყოველმხრივ ხელის შეწყობა. ეროვნულ ძალთა გაერთიანება და გამძლავრება არის იმავე დროს მთელი ერ ეროვნული ცხოვ'ების, სახელმწიფოს გამძლავრება და დაწინაურება. : მის მიხედვით, საღი ეროვნული პოლიტიკა მოითხოვს, რომ სახელმწიფომ შექმნას ერთგვარი და თანასწორი უფლებრივი პირობები ერის ყველა ნაწილებისათვის, სახელმწიფოს ყველა წევრებისათვის. ამავე დროს სახელმწიფო განსაკუთრებულს მფარველობას და მხრეველობას უნდა უწევდეს ქონებრივად და კულტურულად სუსტსა და ჩამორჩენილ წრეებს, რომ ხელი შეუწყოს მათს გამაგრებას შრომისა და შემოქმედების გზით. სიფლისა და ქალაქის მუშებისათვის შრომის საუკეთესო პირობების დამყარება და მათი უფლებების დარაჯობა—მისი მუდმივი მოვალეობაა. საღი დემოკრატიული პოლიტიკა ყველაზედ უკეთ აღწევს ამ მიზნებს. ხოლო რევოლიუციური კლასიური პოლიტიკა მხოლოდ გარეგნულად აუმჯობესებს მუშების მდგომარეობას. არსებითად კი ის აზიანებს მთელს ეროვნულ ცხოვრებას და მასთან ერთად მუშათა კლასის მდგომარეობას. ასეთია შედეგები რევოლიუციური პოლიტიკისა, ყოველგან და ყოველთვის და ასეთი იყო და არის მისი შედეგები საქართველოში მენშევიკური და ბოლშევიკური პოლიტიკის ხანაში. ქარხნის მუშისათვის სამუშაო დროს შემცირება და მისი 7-სა და 6 საათამდე დაყვანა კი არ აუმჯობესებს მუშის კეთილდღეობას, არამედ კიდეც აუარესებს მას, უკეთუ ეს სამუშაო დროს შემცირება ამდენსავე და კიდევ მეტად ამცირებს მუშის ნამდვილ ხელფასს. მუშაობის შემცირება მხოლოთ მაშინ არის საკეთე მშრომელისათვის, როდესაც მისი ხელფასი არ მცირდება. ხოლო ამის მიღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წევა არ ხერხდება რევოლიუციური სიტყვებითა და დეკრეტებით. შრომის პირობები მტკიცედ არის გადაწნული სახალხო-მეურნეობის მრავალ სხვა მოვლენებთან და მისი ნამდვილი და საფუძვლიანი გაუმჯობესება შესაძლებელია მხოლოდ საზრიანი ეკონომიური პოლიტიკით, რომელიც ჯგულისხმობს ერთის მხრივ შრომელთა ინტერესებისადმი მუდმივად დარაჯად ყოფნას და დაცვას და მეორეს მხრივ—ასევე მუდმივად მზრუნველობას წარმოების ასამაღლებლად ტეხნიკურად და ეკონომიურად. ამ მიმართულებით უადრესი მნიშვნელობა აქვს შრომის ნაყოფიერების ზრდას, რომლის მისაღწევად საჭიროა მრავალი პირობები და ღონისძიებანი და მათ შორის უმთავრესია: მთელი ერისა და კერძოდ მუშათა კლასის კულტურული დაწინაურება, შრომაში გაწვრთნა და შრომის შერჩევა. ამას გვიმტკიცებს ყველა დაწინაურებულ ქვეყნებში ნაპადი პოლიტიკა შრომის საკითხში, ასეთსავე დასკვნას იძლევა ყოველგან ნაწარმოები რევოლიუციური ღონისძიებანი და კერძოდ რუსეთ-საქართველოს ბოლშევიკური და მენშევიკური მეთოდები.

ასეთიავე სახელმწიფოებრივი და რევოლიუციური პოლიტიკის შედეგები სასოფლო მეურნეობისა და მიწის საკითხის მიმართ. დემოკრატიული სახელმწიფოებრივი პოლიტიკა ყოველთვის მეტსა და უფრო საფუძვლიანს დადებით შედეგებს იძლევა და ის ყოველთვის უფრო იაფი უჯდება სახალხო მეურნეობას, ვიდრე პოლიტიკა რევოლიუციური და კლასიური. რევოლიუციური პროგრამების მიხედვით აგრარული საკითხის გადაჭრამ, კერძოდ საქართველოში, გამოიწვია სასოფლო მეურნეობაში მთელი რიგი კრიზისებისა, რამაც დასცა და შემაცირა სოფლის მეურნეობის კეთილდღეობა, ნაცვლად ამაღლებისა და გაუმჯობესებისა. მართალია, მან შეპმატა მიწის რაოდენობა გლეხობის მცირე ნაწილს, მაგრამ ეს შემატება იყო ფრიად მცირე და ამ რაოდენობის შეპმატებას თან დაერთო მიწისა და მეურნეობის ნაყოფიერებისა და ეკონომიური მნიშვნელობის კიდევ უფრო ზედმეტად შემცირება. ასე რომ, ვიწრო მიწა შეიმატა აგრარული რეფორმის მიხედვით, მაგრამ კეთილდღეობაც არ ამაღლდა, არ გაუმჯობესდა, არამედ კიდეც დაეცა და ‖აუა ოესდა.

ჩვენი მომავალი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის მოვალეობაა ამის გამოსწორება და მით აგრარული რეფორმის გადაქცევა სასარგებლოთა და საკეთილდღეოთ ღარიბ მეურნეთათვის და ეს ეროვნული, როგორც რეფორმის მოხდენამდე იყო ეროვნული დემოკრატია ასეთი რთული სოციალური კითხვების, რევოლიუციური გზებით გადაჭრის წინააღმდეგი, ისევე ის ეხლაც არ იწყნარებს რევოლიუციურს მეთოდებს სასოფლო-მეურნეობისა და მფლობელობის მოსაგვარებლად. ის სავსებით წინააღმდეგია რაიმე რესტაურაციული ზომებისა. ის ემყარება მიწად-მფლობელობაში მომხდარ ფაქტიურ მდგომარეობას და ამ მდგომარეობაზედ აშენებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასოფლო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების გეგმებს. ეროვნული დემოკრატია ისახავდა მიზნად ფეოდალური წყობის ყოველივე ნაშთების გაუქმებას. ის ადასტურებს ამ ფაქტს, მიუხედავად იმისა, თუ როგორ და რა გზით შესრულდა ის. ხოლო ის არ იწყარებს და არ შეიწყნარებს ახალი ფორმის ფეოდალიზმის დამყარებას სასოფლო-მეურნეობაში, როდესაც მიწა ნომინალურად ეკუთვნის მშრომელ გლეხობას, ხოლო ნამდვილად ის მას არ ეკუთვნის, რადგან ის მას ვერ ყიდულობს და ვერ ჰყიდის; მიწა და ყოველივე სიმდიდრე ეკუთვნის სახელმწიფოს მეთაურებს, ერის ფრიად მცირე ნაწილს. ეს წრე ამყარებს ეკონომიური პოლიტიკის ისეთს წესებს, რომ მხოლოდ მის სურვილიზეა დამოკიდებული თუ მიწის ნაყოფის რა წილი და რაოდენობა დარჩება მეურნეს. ასეთი წესების მიხედვით გლეხობამ არამც თუ არ შეიძინა ახალი საკუთრება, არამედ ფაქტიურად დაჰკარგა ის საკუთრებაც, რომელიც მას წინეთ ჰქონდა. სასოფლო მეურნეობის წილი ჩვენს ეროვნულს მეურნეობაში შეიცავს ოთხ მეხუთედს. გლეხობის რიცხვიც ასეკვ მთელ ერის ოთხ მეხუთედს მეტობს. ამათი ინტერესების დაჩაგვრა მხოლოდ არა დემოკრატიულ გზებით შეიძლება. მათი კანონიერი უფლებების განაღდება მხოლოდ დემოკრატიული პოლიტიკის დამყარებით მოხერხდება. და ეს პოლიტიკა დააკანონებს სრულს საკუთრებას მიწაზედ იმათთვის ვისიც ხელში ის იმყოფება და აღადგენს მიწის საყიდვა-გაყიდვის უფლებას. ის მიიღებს ზომებს მიწის ნაყოფიერების და სარგებლობის ასამაღლებლად და მით სასოფლო მეურნეთა კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად. ყოველივე ამისათვის ის შეიტანს სოფელში სამეურნეო ცოდნასა და გამოცდილებას, გაუმჯობესებულ იარაღების ხმარებას, იაფ-ფასიან კრედიტს და მრავალ სხვა ღონისძიებასა და დახმარებას.

ახალი საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება მცირე ხნოვანია და განუვითარებელი. ორი მთავარი ნაკადი და მიმდინარეობა აკავებს მის შინაარსს. პირველია—მესამოციანთა დასის ეროვნული პოლიტიკა და მისი გაგრძელება ჩვენს დროში—ეროვნულ-დემოკრატიული მიმდინარეობისა და პარტიის მიერ. ეს ნაწილი შეიცავს ჩვენი ეროვნული ცხოვრების აღდგენისა და აღორძინების დიდ საქმეს. ყოველივე რაც კი მოიპო�s მნიშვნელოვანი ჩვენს ახალს ეროვნულს ცხოვრებაშ, გონებრივი და ქონებრივი—ამ მოღვაწეობის ნაყოფია. მეორე დასი, ნოე ჯორდანიას წრე, თავიდანვე დაუპირდაპირდა მესამოციანთა დადებით სახელმწიფოებრივ მუშაობას. ის ეროვნული ნიღბილიზმის გზით მიდის. ქართველი ერის უფლებების უარყოფასთან ერთად ის სასტიკ ბრძოლას უცხადებს ეროვნული ცხოვრების ყველა დარგში გამეფებულს მესამოციანთა დადებით მოღვაწეობას. ასეთმა პოლიტიკამ დიდათ შეაფერხა მესამოციანთაგან გამოწყვეტული ჩვენი ეროვნული აღორძინების საქმე. რუსეთის რევოლიუციებმა გაზარდა და გააძლიერა ეს დასი; ჩვენი დამოუკიდებლობის ხანაკ მის უპირატესი გავლენის ქვეშ მიმდინარეობს და ამის შემდგომი განმათავისუფლებელი ბრძოლაც მის დიდს გავლენას განიცდის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ წრის ბუნება და ხასიათი ვერ შესცვალა ვერც განვლილმა დრომ და ვერც ბედის ცვალებადობამ. ის იმავე, ჩვენს ეროვნულ ცხოვრებისა და ეროვნულს მიზნებს დაშორებული გზებით მიდის. ის მხადაა კვლავ თავიდან დაიწყოს ყოველივე ის, რამაც დაამარცხა ჩვენი სახელმწიფოებრივი არსებობა, ასე სასტიკად და უმაგალითოდ. ეს წრე ვითარდება ახალს პროგრამასაც სთხზავს ნ. რამიშვილის ხელით და იქ მომავალი ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის იდეალად გვისახავს იმ ეკონომიურ პოლიტიკას, რომელსაც მენშევიკური მთავრობა ახადებდა ჩვენი დამოუკიდებლობის დროს და რომელმაც ასე მოუსწრაფა არსებობა ჩვენს სახელმწიფოებრივ არსებობას. ხოლო ნ. ყორდანია კიდევ უფრო შორს მიდის და ცდილობს გამოიგონოს ისეთი წყობილება, რომ ცხოვრება ბურჟუაზიულად იყოს მოწყობილი, ხოლო მისი მმართველობა და მთავრობა სოციალისტური იყოს.

ასეთმა სრულიად ანტისახელმწიფოებრივმა პოლიტიკამ შეგვიფერხა ეროვნული აღორძინების საქმე. მან დაგვიკარგა ის უდიდესი შესაძლებლობანი, რომელიც წარმოშვა მსოფლიო ომმა და რუსეთის რევოლიუციამ ჩვენი სახელმწიფოებრივობის აღდგენა-განმტკიცებისათვის, შესაძლებლობანი, რომელნიც თვით საუკუნეთა მანძილზედაც იშვიათად მეორდებიან. ასეთმა უკუღმართმა პოლიტიკამ მოგვაყენა უმაგალითო დამარცხება 21 წელს და ძანვე მიაყენა აურაჩხელი ზარალი შინ და გარეგ 21 წლის შემდეგ წარმოშობილს ეროვნულს დარაზმულობას.

ამ წრის მეთაურობის სრულიად იშვიათი ანტისახელმწიფოებრივ ბუნებით აიხსნება ის გარემობა, რომ მათი ასპარეზზე გაძოსვლის დღიდან ჩვენს დროამდე ვერც ერთმა წრემ და მიმართულებამ თუ პარტიამ, სოციალისტურმა თუ არა სოციალისტურმა, ვერ გამონახა მათთან საერთო ენა ეროვნულს ასპარეზზედ მოქმედებისათვის. ვერავინ შექმნა მათთან წესიერი თანხმობა და კავშირი ვერც მეფის რუსეთის დროს, ვერც რევოლიუციების ხანაში, ვერც თავისუფლების წლებში და ვერც ამის შემდეგ განმათავისუფლებელ ბრძოლის ხანაში. მათ მიერ არასოდეს დაფასებულა არც ლოიალობა მათდამი და არც დახმარება და მხარის დაჭერა, მაშინაც კი, როდესაც უამისოდ მათს არსებობას ხიფათი მოელოდა. მართალია, მენშევიკური პარტიის საშუალო და დაბალი წრეები არ იჩენდენ ასეთს მხაკვრობას, როდესაც საქმე მათს ხელში იყო. 1922 წლის ინტერპარტიულ შეთანხმების ნიადაგზედ წარმოშობილ ეროვნულ დარაზმულობაში ისინიც პატიოსანი თანამებრძოლნი იყვნენ. ხოლო სადაც მისწვდა მენშევიკური პარტიის ხელმძღვანელობის ხელი, ეს ერთობა და მთლიანობა ყველგან მარცხდებოდა. კერძოდ ემიგრაციაში ბუთჯერ დასდვა ჩვენმა პარტიამ პირობა და შეთანხმება მენშევიკურ კამარილიასთან. არც ერთი არ შესრულებულა. ყველა გაბათილებულ იქმნა და აბუჩად აგდებული.

მენშევიკური პარტიის მეთაურების ასეთმა ანტისახელმწიფოებრივმა ბუნებამ შეუძლებელი გახადა მეზობლური ურთიერთობისა და კავში-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის დამყარება ჩვენი თავისუფლების ხანაში. ეს მაშინ, როდესაც კავკასიის ერთა სახელმწიფოებრივი კავშირის აუცილებლობის საკითხი საფუძვლიანად იყო დამუშავებული მესამოციანთა მიერ ჯერ კიდევ ჩვენი ეროვნულ აღორძინების დასაწყისში. ამ დასმა ფედერაციისა და კონფედერაციის საფუძვლები წამოაყენა. არც თავისუფლების დაკარგვის შემდეგ წაწეულა წინ ეს საქმე. აგვისტოს აჯანყების შემდეგ თვით ეროვნულ-დემოკრატიულმა წრეებმა იდეეს თავს ამ საკითხის აღებიქება და მისი გახდენა პრაქტიკული მუშაობის საგნად. 1925 წლიდან არსდება უცხოეთში შეჯგუფებანი, რომელნიც ისახავენ მიზნად კავკასიის ერთა ძალების გაერთიანებას განმათავისუფლებელ ბრძოლის ხანაში და შემდეგისათვის კი კავკასიის ერთა პოლიტიკურად შეკავშირებას, კონფედერაციის ნიადაგზედ. აქაც იგივე განმეორდა, რაც საქართველოს მებრძოლ დარაზმულობაში. რა ქამს თავი შერგო ამ საქმეში მენშევიკური პარტიის ხელმძღვანელობამ, მან მყისვე დაიწყო მუშაობა მის დასაშლელად და დასანგრევად.

ყოველივე ამის მიხედვით შეუძლებელი გახდა ორგანიული მთლიანობის და ერთობის დამყარება ამ წრესთან და ეროვნული დემოკრატია უბრუნდება საკუთარი დამოუკიდებელი გზით ბრძოლასა და მუშაობას. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის განსალკევებისა და განმარტოების გზით წავა. ის შექმნის კავშირსა და მებრძოლს დარაზმულობას, როგორც ეს შექმნა მან საქართველოში 1921-24 წ. ამ დარაზმულობაში ის გააერთიანებს ყველა ძალებს, რომელთა აზრი და ბუნება ეგუება ეროვნული იდეისა და ეროვნული ბრძოლის აზრს, ზნეობას და ხასიათს. ამ საქმეში წესი არავისათვის დაუდევსთ სოციალისტობისათვის და ასევე იქნება მომავალშიც. სოციალისტურ წრეებს სხვა ქვეყნებში მრავალჯერ ჩამოუგდიათ ზავი და კავშირი სხვა წრეებთან და არა მარტო ამ ზომად დიდი განსასიდელის ქამს, არამედ უფრო მშვიდობიან პოლიტიკის დროსაც. ხოლო თუ ჩვენი სოციალისტური კამარილია ვერ ახერხებს ამ გზით წინსვლას, ამის მიზეზი არ არის მათი სოციალისტობა და მემარცხენეობა, არამედ მათი სრულიად ანტიახალმწიფოებრივი ბუნება და მათი ხასიათის უკუღმართობა და მარცხიანობა.

საქართველოს განმანთავისუფლებელი ბრძოლა ფრიად მარტივია და გარკვეული თავის მიზნისა და მისწრაფების მხრივ. საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენობის აღდგენაა მისი მიზანი. მაგრამ ეს ბრძოლა ფრიად რთულია და მრავალსახიერი შინაარსითა და საშუალებებით. სახელმწიფოებრივი არსებობის დაცვის პირობების სირთულე და სიძნელე ახასიათებს მთელს ჩვენს ხანგრძლივ ისტორიას და იგივე თვისება ახასიათებს ჩვენი დროის ბრძოლას საქართველოს აღდგენისათვის. ჩვენს მატიანეს აღნუსხული აქვს მრავალი გზები და საშუალებანი ამ სირთულეთა შემოსარევად და გადასალახავად. ამასვე გვიკარნახებს ეხლანდელი ბრძო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის პირობები. მისთვის უნდა გამოყენებულ იქმნას ყოველგვარი ზომა და საშუალება—საგარეო და სშაინაო, სულიერი და ნივთიერი, მშვიდობიანი და საბრძოლველი. ჩვენი მიზნების თანამგრძნობ საგარეო ძალებთან თანხმობა და მჭიდრო ურთიერთობა ჩვენთვის საეალდებულოა, ხოლო კავკასიურ ერებთან გვმართებს კიდევ უფრო მჭიდრო კავშირი და ურთიერთობა. მათთან გულწრფელი თანხმობა განმანთავისუფფლებელ ბრძოლის ხანაში დაიგვირგვინებს ამ ერთა მომავალ პოლიტიკურ ერთობას და კავშირს. მაგრამ ხალხის ეროვნული თვითარსება მუდამ საკუთარ ძალებს ეყრდნობა უწინარეს ყოვლისა და ამ თვითარსებობისათვის ბრძოლაშ იქ ჰპოულობს უმთავრეს ძალასა და დასაყრდნობს. ამ ძალთა შემოკრება, დარახმვა, და მასთან ერთად ამ ძალთა გაზრდა-განვითარებისათვის გზების გაკაფვა—გონიერი ეროვნული პოლიტიკის გზაა. ეროვნული ბრძოლა მარტო ფარ-ხმალის ტრიალს არ შეიტავს. ის იმავე დროს არის ბრძოლა და მუშაობა მშვიდობიანს ასპარეზებზედ. ეროს სხეულებრივ ძალთა დაზოგვა, მისი ეკონომიურად და კულტურულად მოდონიერება საბოლოო გამარჯვების თავმდებია.

———·:·———

ეროვნული დემოკრატია ემყარება სინამდვილეს და არა ოცნებას. ის ეყრდნობა ჩვენი ქვეყნის წარსულის მაგალითებს და მის მიერ დანატოვარ მემკვიდრეობას—სულიერსა, ნივთიერს და სახელმწიფებრივს. ის ემყარება ჩვენი ცხოვრების აწმყო ვითარებაა და ყველა მის მოვლენებს. ის დაფუძნებელია დაზინაურებული ქვეყნების მაგალითებზედ, მათი განვითარების გზებისა და მიღწეულ შედეგების გაკვეთილებზედ.

ის ანგარიშობს ეროვნულ ძალასა და შესაძლებლობას. ამ ძალთა დაზოგვისა და შენარჩუნების მიზნები ხელმძღვანელობენ მის მოღვაწეობას, მშვიდობიან საქმეს და ბრძოლას. ამ ძალთა ყოველმხრიკი გაზრდა და განვითარება შეადგენს ყველა მისი გეგმების საფუძველს.

ეროვნული დემოკრატიას შესწავლილი აქვს, შეგნებული და შეფასებული საქართველოს სახელმწიფოებრივობის განვლილი გზები. ჩვენი ერის ამ გზით მსვლელობას აფერხებდენ უთვალავი სიძრთელენი და დაბრკოლებანი, განსაკუთრელი და ხიფათი, უთვალავი მტრები, უთვალავი შემოსეევები. უმძიმესი ეს პირობები ჯერ არ შეცვლილა. მათი გადალახვა და ფონს გასვლა, ეროვნული არსებობის დაცვა და გადარჩენა შეგვეძლება მხოლოდ ძალთა გაერთიანებით, ძალთა ეროვნულ ინტერესებით, ყველა ჩვენ ზრახვათა და შესაძლებლობათა შეერთებით და ყ ველაივე ამის ეროვნულ სახელმწიფოებრივი საქმისათვის დამორჩილებით. რა წრეები და ჯგუფები ამ გზით მიდიოდენ, ასევე უნდა განაგრძონ მეტის მხნეობითა და სიმტკიცით. რა ძალები მას სლილდებოდენ, გზას უხვევდენ, თუ ეწინააღმდეგებოდენ, მომავლისათვის უნდა დაადგენ ეროვნული სახელმწიფოებრივობის დაცვისა და განმტკიცების გზას. წრეთა და ჯგუფთა წარსულის შეცდო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მების და დანაშაულობებისათვის შურისძიება და განკითხვა უარყოფილი უნდა იქმნას. მომავალი ეროვნული მოლიანობისა და ეროვნულ ძალთა თანხმობისა და ჭშვიდობაანი განვითარების ინტერესებისათვის წარსულის შეურიგებლობა, შეღელი, ღვარძლი და მტრობა უნდა შეწყვეტილი იქმნას და აღკვეთილი.

ამ რიგად, ბბ. ეროვნულ-დემოკრატიული მუშაობისა და ბრძოლის საგანი არ არის მსუბუქი და მიმზიდველი ოსნებები, ცხოვრების სინამდვილეს აცდენილი და დაშორებული, არამედ თვით ეს ცხოვრების სინამდვილე, მთელი მისი სირთულითა და მრავალფერობით. ამ ცხოვრების მრავალნაირ სიძნელეთა და სიმძიმეთა შემსუბუქება, გაადვილება, ერისა და პიროვნების არსებობის პირობათა გაუმჯობესება, და საერთო კეთილდღეობის ამაღლება შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ შრომითა და შემოქმედებით და არა ოსნებებითა და კეთილი თუ ცუდი სურვილებით.

ამის მიხედვით ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მოვალეობები ფრიად მრავალია, და მოვალეობათა შესრულებაც ძნიშვა და რთული. ცხოვრების აშლისა და სახელმწიფოებრივობის დაქცევის გზები უფრო ადვილია და უფრო მარტივი, ვიდრე მისი შენებისა და დაფუძნების გზები. ამით აიხსნება, რომ ერის უფრო ზერელე და შეუგნებელი წრეები უფრო პირველ გზას მიხდევენ, ხოლო უფრო დამჯდარი, დადებითი გონებისა და ხასიათის წრეები კი სახელმწიფოებრივ გზასა და მიმართულებას.

უფლება მოსილ, სუვერენულს ეროვნულ სინამდვილეში ეროვნული დემოკრატიის მუშაობა არის გონიერი სახელმწიფოებრივობის დაცვა და გაძლიერება, ხოლო უფლება აყრილს ცხოვრებაში ის არის ამ ეროვნულ სახელმწიფოებრივობის მატარებელი და მისი მაგიერი ეროვნული ცხოვრების ყველა დარგში და იმ ფარგლებში და იმ რაოდენობაში, რამდენად მიუწვდება მას ძალა და შესაძლებლობა.

მაგრამ არა მარტო აღებულ მოვალეობათა სირთულე და სიმძიმე ახასიათებს ეროვნულ სახელმწიფოებრივობის ნიადაგზედ მომუშავე მიმართულებასა და პარტიას. საქართველოს სახელმწიფოებრივობის მრავალ საუკუნოვანი გზა იყო მუდმივი წამებისა და რბევა-აწიოკების გზა.

საქართველოს სახელმწიფოებრივობის ახალი განგრძობა—ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულება და შემდეგ პარტია ღებულობენ ამ მძიმე მემკვიდრეობას და ეირსულად ატარებენ მის სიმძიმეს. ძვირად თუ მოიპოვბოდა ოდესმე და სადმე საზოგადოებრივი მოძრაობა, რომელსაც მესამოციანთა მძიმე პირობებში ემუშაოს და მათოდენა დადებითი საქმე გაეკეთოსთ, მათოდენა მძიმე შრომა, თავდადება და თავგანწირვა გამოეჩინოს. ეოოვნულ დემოკრატიული პარტიის ხვედრიც ასეთია. ჩვენს ცხოვ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რებაში არ ყოფილა და უთუოდ სხვაგანაც იშვიათია პარტია, რომელიც ამ ზომად მძიმე პირობებში წარმოშობილიყოს და ემოქმედოს და ამოდენა საქმისა და ბრძოლის ატანა შესძლებოდეს.

და ეს ძნელი გზა იყო აგრეთვე ეკლიანი და წამების გზა. ახალი საქართველოს ეროვნული აღორძინების ორი უდიდესი სეეტი—დიმიტრი ყიფიანი და ილია ჭავჭავაძე) შეეწირნენ ჩვენი ეროვნული განვითარების ამ მწარე ბედს. ჩვენი დრო უალრესად ამრავლებს საქართველოს სახელმწიფოებრივობის აღდგენისათვის გალეტელს მსხვერპლს. გასაგებია, რომ უნთავრესი სიმძიმე აწვება საქართველოს სახელმწითოებრივობის მატარებელ პარტიას და საზოგადოებრივ წრეებს. პარტიის ხელმძღვანელთა წრიდანვე კონსტანტინე აფხაზი, ვიქტორ ყარანგოზიშვილი, გიორგი წინამ-ღვარიშვილი და მიხეილ გვალია ეწირებიან ამ დიად საქმეს. მათ თან მისდევს ამავე მიზნებისათვის თავდადებულთა მრავალი გუნდები.

ჩვენი ეროვნული სახელმწიფოებრივობის განვითარება ამ ზომად მძიმე გზით მრავალჯერ შეფერხებული, დროებით შეჩერებული, მაგრამ არასოდეს შეწყვეტილა. უთვალავ მტერთა უთვალავი შემოსევები გადაიტანა და გადალახა მან და საქართველოს სახელმწიფოებრივობის სული და ხასიათი შეინარჩუნა. წარსულ სა და აწმყოს ყველა მაგალითები გვაწყმუნებენ, რომ ის კვლავ გაიმარჯვებს, კვლავ აღსდგება და მოიპოვებს თავის განვითარებისათვის უფრო მტკიცე და საიმედო პირობებს.

ეროვნული დემოკრატია
და მთლიანი ეროვნული ფრონტი

მოხსენება ბ-ნ შ. ამირეჯიბისა*)

I

ამ ჟამად ემიგრაციაში ბევრს ლაპარაკობენ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთლიანი ეროვნული ფრონტიდგან წამოსვლის შესახებ. ამ ამბავს გაშუქება უნდა. ეროვნული დემოკრატია წამოვიდა არა მთლიანი ეროვნული ფრონტიდგან, არამედ „ეროვნული სენტრიდგან", რომელიც ამ ფრონტის პოლიტიკური ორგანოა და წამოვიდა იმიტომ, რომ ეს „ეროვნული სენტრი" თითონ აროვევეს ამ მთლიან ფრონტს, რეეს იმის საქმებს და შემდეგშიაც უარესს უშზადებს.

მაგრამ მოხდა ერთი გასაოცარი რამ, „ეროვნული სენტრის" მეთაურები ამ ამბავს მალავენ და ქვეყანას ატყუებენ, რომ ერი ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ისევ მათთან არის. ამიტომ პარტიამ ხელახლად უნდა გა-

*) წაკითხულ იქმნა 22 ივნისს, პარიზში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაცხადოს, რომ ამ „ეროვნულ ცენტრთან" მას საერთო არაფერი აქვს, და თუ „ეროვნული ცენტრი" ამ ამბავს მაინც მალავს, იმიტომ, რომ არავითარ ფრონტს, მით უმეტეს მთლიანს და მით უმეტეს ეროვნულს საქართველოში არსებობა არ შეუძლიან, თუ მასში ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიამაც არ მიიღო მონაწილეობა.

რა მიზეზით წამოვედით ამ ცენტრიდგან?

ეს ფრიად რთული საკითხია, საგანს გრძელი ისტორია აქვს და ამიტომ თავიდგან უნდა დავიწყოთ. ჩვენ უნდა დავამტკიცოთ, რომ ამ ცენტრიდგან წამოსვლა არ გვინდოდა, მაგრამ იქიდგან მაინც წამოვედით, რადგანაც ამას საერთო ქართული საქმის ინტერესები მოითხოვდნენ და არა მარტო პარტიული შეხედულობა.

მაგრამ ვიდრე ამ საკითხს გამოვარკვევდეთ საჭიროა ცოტა ხანს ჯერ თვით ამ ფრონტის სახელწოდებაზედ შევჩერდეთ. იმ ამალლებული აზრისა. და მრავალ-ფეროვანი შინაარსის მიხედვით, რომელიც ამ ცნებაშია ჩადებული, იმისი სახელწოდება—მთლიანი ეროვნული ფრონტი—ფრიად უფერული ტერმინია. ძველს საქართველოში მთლიანობის ცნების გამოსახატად „ქართლი ერთობილი" იყო მიღებული. თავის ეროვნულ-პოლიტიკურ შესატყვისობით ამ სიტყვას ქართულ ტერმინოლოგიაში მსგავსი არა ჰყავს. „ქართლი ერთობილი" პოლიტიკური, ტერიტორიული, კულტურული და ეროვნული მთლიანობის შესატყვისი ტერმინი არის. დიდი ომის დროინდელი საფრანგეთიც თავის ეროვნულ მთლიანობას „საფრთო კავშირს" უძახდა. ამათთან შედარებით, ჩვენი დღევანდელი მთლიანობ ს გამომხატველი ტერმინი მშრალი და უცესხლო სიტყვა არის. მაგრამ ნათქვამია: „მღვდელი ჭილობშიაც იცნობება"-ო და ჩვენს პირდაპირ საგანზედ გადავიდეთ.

შეიძლება ზოგმა იფიქროს, რომ მთლიანი ეროვნული ფრონტის აზრი, ანუ მთელი ქართველი ერის გაერთიანებული ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, ცალკე ჯგუფს, ანუ ცალკე ჯგუფის გამოკონება არის. ეს შეცდომა არის. ამაზედ უფრო დიდი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ მთლიანი ეროვნული ფრონტის აზრი სხვამ მოახვია ჩვენს პარტიას თავზედ. შესაძლებელია ზოგი იმასაც ფიქრობდეს, რომ ეს აზრი ემიგრაციაში დაიბადა. ყველა ეს შეხედულობანი ერთნაირად მცდარნი არიან.

მთლიანი ეროვნული ფრონტის აზრი თვით თავისუფლებისათვის მებრძოლ ქართველ ერში დაიბადა. ამიტომ იგი დიდი ეროვნული იდეა არის. იმ გაუგონარი მარცხის შემდეგ, რომელიც ეწვია ქვეყანას, იმ ისტორიული სიმართლის შემდეგ, რომ ამ მარცხის მიზეზი თუ ერთიანად არა, უმთავრესად მაინც ერთი პარტიის დიქტატურა იყო,—დამარცხებულსა და დამოუკიდებლობას დაკარგულ ქართველ ერში ისტორიულის აუცილებლობით განმტკიცდა ის აზრი, რომ თუ საქართველოს დამოუკიდებლობა წაგო ერთმა პარტიამ, უნდა ამოიგოს მთელმა ქართველმა ერმა, ყველა იმისი პოლიტიკური პარტიების გაერთიანებულმა ღონისძიებამ.

ვინ იყო ეს ერთი პარტია და როგორი იყო იგი?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2

ოთხმოცდაათიან წლებში საქართველოში გაჩნდა ახალი მიმართულება, რომელსაც „მესამე დასი" ერქვა. ეს ახალი მიმართულება ისტორიულ მატერიალიზმს ქადაგებდა. ქართული საზოგადოებრივი აზრი ამ ახალს ქადაგებას კრიტიკით შეხვდა. მაგრამ თავდაპირველში თვით უსასტიკესს კრიტიკოსებსაც არა ჰქონდათ წარმოდგენილი, რომ ეს ახალი დასი და მისი მიმართულება ასე საფუძვლიანად იყო ამოვარდნილი ქართველის ეროვნულის ჩარჩოდგან. მაგრამ შემდეგმა წლებმა აშკარა გახადეს რომ საქმე სწორედ ასე იყო და ამ ახალ დასს არაფერი ქართული და ეროვნული არ ეცხო. გამოირკვა რომ ეს ახალი მიმართულება პოლიტიკურად „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მეშათა პარტიის" დამატებას შეადგენდა. იზიარებდა იმის სოციალურ და პოლიტიკურ პროგრამას და იმის რუსულ ცენტრალიზმსაც. ამ რუსულ პარტიაში ყოფნამ ახალი დასის ქართველობას სამუდამო დაღი დასვა. ამ დასმა, ამიერიდგან სოციალ-დემოკრატიულმა, უცბად შეესწავლა კავშირი ქართულ ისტორიასა და საქართველოს სასელმწიფოებრივ იდეასთან და მესამეს წლების თაობის მიერ ნაქადაგებ ეროვნული და დემოკრატიული აზრების ნაპალად ‹ნტერნაციონალიზმისა და სოციალიზმის ქადაგება დაიწყო. იგი ეკვეთა ამ ძველ თაობას, იმისი ციხე სიმაგრე იერიშით აიღო და ქართველი ერის დამ ა-კრატიულ ფენებში თავისი პარტიული გავლენა დაამყარა. თუ მესამეს წლების თაობა თავის-ი მოღვაწეობის მთავარ მიზნათ ერის უფლებას და იმის მთლიანობას აცხადებდა, ქართველმა სოციალდემოკრატებმა ერის სწორედ ამ უფლებას და იმის მთლიანობის იდეას დაუწყეს ბრძოლა. მათის შეხედულობით მთლიანი ერი არ არსებობდა. არსებობდნენ მხოლოდ კლასებ ბ, რომლებსაც სამკვდრო-ს.სიცოცხლო ბრძოლა ჰქონდათ ატეხილი ერთმანეთში და ამ ბრძოლის გაღრმავებას შეუდგნენ. თანახმად ამ კლასთა ბრძოლის თეორიისა მუშებს ქარხნების პატრონებისათვის უნდა გამოეცხადებინათ ომი, ნოქრებს—ვაჭრებისათვის, გლეხებს—მემამულეებისათვის, მრეკლს—მღვდლებისათვის, ღარიბებს—მდიდრებისათვის, უნკროსებს—უმფროსებისათვის, უსწავლელებს—ნასწავლებისათვის, სოციალისტებს—ნაციონალისტებისათვის! ეს იყო ქართული ეროვნული მთლიანობის სრული მოშლა და ომი ყოველისი—ყველასთან!

ამ ქადაგებამ მალე თავისი ნაყოფი გამოიღო. 1905 წელს საქართველოში დატრიალდა დიდი სასოფლო ტერორი, რომლის გვირგვინად ლია ჯაგუაგაძის მკვლელობა უნდა ჩაითვალოს. მესამეს წლების თ ობის სახელოვანი მეთაური და უდიდესი ქართველ●, რ(მელიაᲘ ახსოვს ქართველი ერის ისტორიას—მოკლულ იქმნა როგორც უბრალო მემამულე.

საქართველოში უკიდურესი „სოციალისტური" და ანტი-ეროვნული რეკაᲪია გამძვინვარდა. ქართველი სოციალ-დემოკრატები საქართველოს იდეას ებრძოდნენ. დღევანდელი ახალთაობა ამ სოციალ-დემოკრატიისა ვერᲪ კი წარმოიდგენს, რა სიბნელითა, გონების რა ჩამორჩენილობით და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უვიცობის რა სინიზმით ეკვეთა მათი უმფროსი თაობა ქართულ ეროვნულ იდეას, ქართველი ერის გამოფხიზლებას, იმის სამზადისს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.

რუსეთის მთავრობა მალე მიხვდა რა ხელსაყრელ მოვლენასთან ჰქონდა საქმე და, თუმცა სოციალისტებს ყველგან და საქართველოშიაც გააფთრებით ებრძოდა, ქართველი სოციალ-დემოკრატების ამ რუსოფილურ მოღვაწეობას ჯეროვანად აფასებდა. კავკასიის ნამესტნიკი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი თავის 1906 წლის უქვეშევრდომილეს მოხსენებაში სწერდა: ერთად-ერთი დამაველნი რუსეთის ბატონობისა საქართველოში ქართველი სოციალ-დემოკრატები არიან, დანარჩენი საქართველო სეპარატისტული არისო.

ასეთი იყო ქართველი სოციალ-დემოკრატების ფერი და იერი, როდესაც ევროპაში დიდი ომის ქარიშხალი ამოვარდა, ამ ომში რუსეთი დამარცხდა და ამას თებერვლის რევოლიუციაც მოაყვა. ქართველი სოციალ-დემოკრატების გავლენა რუსეთში, რა თქმა უნდა, იმავე რუსოფილური ტენდენციების წყალობით, ისე დიდი იყო, რომ ამ რევოლუციას სათავეში ისინი მოეკუნენ. „განუყოფელი" რუსეთი და დამფუძნებელი კრების მოწვევის იდეა ამ ქართველი სოციალ-დემოკრატებისათვისაც ისევე საკვალდებულო და ერთადერთი ლოზუნგი იყო, როგორც თვითონ რუსებისათვის. თებერვლის რევოლიუციაი რომ დღეგრძელი გამომდგარიყო, წინ არაფელი უდგას, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატები 1917 წელსაც ისევე წინააღმდეგნი იქნებოდნენ საქართველოს დამოუკიდებლობისა, როგორც 1905 წელში საქართველოს ავტონომიისა.

მაგრამ თებერვლის რუსული რევოლიუციაი ევროპის ომის ნაბიჯეარი იყო და მისი შემდეგი განვითარება ამ ომზედ ეკიდა. იგი შეიცვლებოდა ომისდა მიხედვით, თუ რა მსვლელობას მიიღებდა ეს ომი. ასეც მოხდა. ომმა რუსეთი ბრესტ-ლიტოვსკის ზავამდე მიიყვანა, ხოლო ბრესტ-ლიტოვსკმა საქართველოში და კავკასიაში გერმანია და ოსმალეთი მიიყვანა. ამან ორი ახალი გარემოება შექმნა: რუსეთში—დანაწილება, კავკასიაში—დამოუკიდებლობა. ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა, რომლებსაც დამოუკიდებლობის აზრი გუნებაში არასოდეს არა ჰქონიათ, ვერ გაბედეს ეთქვათ, რომ ეს დამოუკიდებლობა თვით ქართველი ხალხის სურვილი იყო. ამის ნაცვლად ისინი ამტკიცებდნენ (რუსეთის „რევოლუციონური დემოკრატიის" გასაგონად), რომ საქართველო და კავკასია კი არ წამოვიდნენ რუსეთიდგან, თითონ რუსეთი წავიდა საქართველოდგან და კავკასიიდგანაო. ეს იყო რუსოფილური ბოდიში და პოლიტიკური აზრის სრული უბადრუკობა! მაგრამ ახალი ვითარების პოლიტიკური მესაფეთობა მაინც თითონ იკისრეს, თუმცა ერთის თვალსაჩინო ანაბრონიზმით. ეს ახალი ვითარება თითქოს იცნეს, საქართველოს დამოუკიდებლობის აზრი თითქოს გაიზიარეს, მაგრამ ამ დამოუკიდებელ საქართველოში რუსული თებერვლის რევოლუციის ლოზუნგის განხორციელებას შეუდგენენ. ეს მით უფრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანახრონიზმი იყო, რომ თებერვლის რევოლუციია ამ დროს თვით რუსეთშიაც აღარ არსებობდა. მით უმეტეს ადგილი არ უნდა ჰქონოდა ამ ლოზუნგებს საქართველოში, რომელსაც წინ სხვა ეროვნული ამოცანა ედო.

აი აქ დაიწყო ქართული მენშევიზმის ჩაცმა-გადაცმა, პირუმარილის ცხობა და პოლიტიკური წაჯე-უკუჯექობა, სოციალ-დემოკრატიული „პროგრამა მინიმუმის" და საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის შეთვისება. ამ დარგის მათ მხნეობას და ზადილის განხორციელების უნარს კაცმა ჯეროვანი უნდა აგოს. ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა ეს „პროგრამა მინიმუმი" სავსებით განახორციელეს. არ დარჩენილა არც ერთი რეფორმა, რომელზედაც პარტიას ოდ ესმე უბოდნია, რომ არ ეშინჯათ. ამ რეფორმებ ის ეეშმარიტ სახელმწიფო ღირებულებაზედ ლაპარაკი მარტო პროფანების საქმეა. ქართველი ერისა და იმის უამოუკიდებლობის დასაწყისისათვის მათი მნიშვნელობა მხოლოდ საზიანო იყო. მაგრამ აღორძინების გზაზედ შემდგარი ერი ამ ზიანისაც ადვილად გადაიტანდა,— იმის სოციალისტური მთავრობა რომ ამ ეს უსაფუძვლოთ არ ყოფილიყო გატარებული ინ შემაცდარი აზრით, რომ მართლა უჩვეულო და ჯერ არსად ნახულს სახელმწიფოს აშენებდა.

სად უნდა ვეძიოთ ამ ფუქსავატი აზრის დასაწყისი? მხოლოდ ქართული მენშევიზმის მთავარ თვისებაში. მენშევიკებმა ერი კი არ გამოაცხადეს სახელმწიფოდ, არამედ პარტია. ის შეხედულობა, რომ სახელმწიფო სწორედ პარტია იყო და არა ერი, სხვათა შორის, იმითაც იყო განმტკიცებული, რომ ეს პარტია მართლა დიდი იყო. პოლიტიკურ პარტიათა ისტორიას მაგალითი არ ახსოვს, რომ პარტია სადმე ასე უმსგავსოდ ყოფილიყოს გაბერილი და ათქვეფილი სხვა და სხვა კლასებით და სხვა და სხვა იდეოლოგებით. ამ თვალსაზრისით ქართველი სოციალ-დემოკრატია პარტიაც არ იყო. მაგრამ როგორც ადამიანების და ცურვილების ნათქვეფი, მართლა, უზარმაზარ მანქანას წარმოადგენდა და გარჩევა იმისი თუ სად თავდებოდა პარტია და სად იწყებოდა სახელმწიფო არ ძალედვა არც პარტიას, არც ამ პარტიის წიაღიდგან გამოსულ მთავრობას. ნაკლებ როლს არ თამაშობდა ის გარემოებაც, რომ თითონ ამ მთავრობას პარტიის მართვა უფრო ეხერხებოდა, ვიდრე სახელმწიფოს შენება და ერთად ერთი მეთოდი მართვაგამგეობისა ისღა გახდა, რომ სახელმწიფო ამ პარტიაში აეთქვიფათ. როდესაც სახელმწიფო პარტიათ იქცა, იმისი ილუზიებისაკენ წაყვანა სულ ადვილი საქმე იყო.

ამ მთავრობამ ვერ დასდო ვერც ერთი რიგიანი ხელშეკრულება კავკასიელ ერებთან და სხვა სახელმწიფოებთან, მაგრამ უბერიო ომი თითქმის ყველასთან აწარმოა; გაიყვანა ევროპის დესანტი, რასაც სხვა უამესო მთავრობა ქვეყნისათვის მეტის უნარით გამოიყენებდა და ჩამოჰყავდა ევროპიელი სოციალისტები, რომლებსაც თავმომწონე პროვინციელის პრანჭიობით ხვდებოდა. ამ გარემოებამ ქართველ სოციალ-დემოკრატებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე ინტერნაციონალში მაგარი პოზიცია მოუპოვა. ევროპის ამ პატივ-ცემულ დაწესებულებას საქართველოში ცნობისმოყვარეობის სხვა ანგარიშები ჰქონდა: სად უფრო უკეთ ხორციელდებოდა სოციალიზმის პრინ-ციპი—მენშევიკურ საქართველოში თუ ბოლშევიკურ რუსეთში?... და ქა-ართველმა მენშევიზმა უსაბად დალია სული, როცა ეს ბოლშევიზმი ამ მენ-შევიზმს ეკვეთა! როგორცა ხედავთ, ამ დავაში და სოციალისტურ ექსპერ-ტიზაში, როგორც სტუმრებისათვის, ისე მასპინძლებისათვის—საქართველ-ლო და იმისი დამოუკიდებლობა მეორე რიგის საკითხი იყო. მაგრამ ამ დავის ერთად ერთი მსჯეფრალი მაინც ქართველი ერი გაზდა. ის შეიქმნა იმ დაკანგებული იაკობინიზმის მსჯეფრალი, რომელიც ამ ჩამორჩენილ ხალხს მართლა მეოცე საუკუნის საქმე ეგონა. საქართველ ო რუსეთმა გა დითარია; ქართული მენშევიზმი ინტერნაციონალმა! ქართველი ერი? ქართ-ველმა ერმა ბრძოლა დაიწყო...

3

ამ გრძელი ისტორიის მოგონება იმიტ ომ დაგეჭირდა რათა გეთქვა, ვინ იყო ის პარტია რომელმაც ეს დამოუკიდებლობა წაგაგო და რა მწარე გამოცდილების შემდეგ დაადგა ქართველი ერი იმ გზას, რომ ამ დამოუ-კიდებლობის ხელმეორედ მოპოვებას გაერთიანებულის ძალებით უნდო-და ბრძოლა. მთლიანი ეროვნული ფრონტი ამ ბრძოლის ორგანიზაცია უნდა ყოფილიყო.

თუ ასეთია მთლიანი ეროვნული ფრონტის შინაარსი, წარმოსადგენია განა, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ამ ორგანიზაციის გარეშე დარჩენილიყო? რათქმა უნდა—არა და აწორეთ ამით აიხსნება, რომ მთლი-ანი ეროვნული ფრონტის აუცილებლობას სწორედ ეროვნულ-დემოკრა-ტიული პარტია ქადაგებდა. ქართველი ერის მთლიანობა ჩვენი ერთად-ერთი ეროვნული მორალი არის. დღეკანდეკ პირობებში იგი ჩვენი პო-ლიტიკური საგზალია. ამას ბგარდა მთლიანი ფრონტი ჩვენი ერთად-ერთი ტაქტიკაც არის. ქართულ პოლიტიკურ პარტიებში ყველაზედ ახალგაზდა ეროვნულ-დემოკრტიული პარტია იყო. თებერვლის რევოლ-უციაში და შ. მდეგ დამოუკიდებლობის ხანაშიაც, რომელიც რუსული თებერვლის რევოლ-უციის ქართული გაგრძელება იყო, ჩვენს პარტიას არავითარი, ან ფრიად მცირე ასპარეზი ჰქონდა. ამიტომ სწორედ ეროვნულ-დემოკრატი-ულ პარტიას ესაჭიროებოდა ისეთი ახალი აზრი, ისეთი ახალი პოლიტი-კური ორგანიზაცია ბრძოლისა, რომელიც სამოქმედო ასპარეზს მასაც გაუ-ჩენდა. ასეთ ასპარეზად პარტიას ეს მთლიანი ეროვნული ფრონტი მიაჩნდა და რათქმა უნდა იმის გარეშე ვერ დარჩებოდა.

მართალია, ესა ნიშნავდა ყველა ქართული პოლიტ. ური პა ტიე-ბის გაერთიანებას, მაშასადამე ამ ორგანიზაციაში სოციალ-დემოკრატე-ბის შემოსვლასაც, მაგრამ ეს იქნებოდა კომპრომისი იმათის მხრით და არა ჩვენი—ვინაიდგან ისტორიული, ეროვნული და პოლიტიკური დინი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შნულება ეროვნული დემოკრატიისა ის არის, რომ ყველანი ეროვნული იდეის გარშემო გააერთიანოს და ძალით იმათაც იქით უკრას თავი, ს�თაც ისინი თავის ნებით არასოდეს არ წავიდოდნენ. 1921-24 წლებში ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ეროვნულმა დემოკრატიამ ამისი სისრულეში მოყვანა ჩინებულად იცის.

აი, ამ მიზნით შესდგა მთლიანი ეროვნული ფრონტი, ამ მიზნით დაიდო 1922 წელს პარტიათა შორის ხელშეკრულება და ამ მიზნით დაარსდა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი". ამ ამბების მთავარი მონაწილე ეროვნულ-დემოკრატიული პარტია იყო. მაშინ, იქ, საქართველოში, არავის გაუგონია რომ ეროვნულ დემოკრატიულ პარტიას ქვეყნისათვის ეღალატოს, ბრძოლაზედ ხელი აეღოს და ეროვნული ფრონტი მიეტოვებინოს. ეს რიდი და მოკრძალება პარტიამ თავისი გმრიული საქმიანეთ დაიმსახურა. მაგრამ აქ, ემიგრაციაში ეროვნულ-დემოკრატიას თავზედ კაკალს ამტვრევენ და მზად არიან ძელზედ გამოსდონ!

რა მიზეზით? ვინ არიან ეს ბრალმდებელნი?

და თუ ჩვენ მათ ვინაობას ვიკითხავთ, გამოჩნდება, რომ ეს ეროვნული ფრონტი არსებობად ორია, ერთი იქ, საქართველოში, რომელშიაც თვით ქართველი ერი იმყოფება, მეორე აქ საზღვარგარეთ, სადაც ემიგრაცია ირაზმება. ეს ორი ფრონტი ისე ჰგავს ერთმანეთს, როგორც სარჩული საპირეს, როგორც ემიგრაცია-საქართველოს, საქართველოში ამ ფრონტს რუსეთი ებრძვის და ამის გამო იგი მაგარია, ემიგრაციაში მას საქართველოს ეროვნული მთავრობა მწყემსავს და ეს ფრონტი მუდამ დაშლილია. საქართველოს ფრონტიდგან არავინ გარბის, ემიგრანტული ფრონტიდგან ყველანი გარბიან. აი ეს ემიგრანტული ფრონტი არის, რომ ბრალდებას გვიყენებს და უნდა ახდილად ითქვას, რომ ამ ფრონტში დგომა, მართლა, ძნელი აღმოჩნდა. რა არის ამისი მიზეზი?

ემიგრანტული ფრონტი რომ მარტო პარტიების ფრონტი იყოს, ეჭვს გარეშეა, ამისი შედგენაც ისევე ადვილი იქნებოდა, როგორც თვით ქართველი ერის ფრონტისა. მაგრამ ემიგრანტული ფრონტი მარტო პარტიების ფრონტი არ არის და იმის საქმეებში მთავრობაც ერევა, ვინაიდგან ყოველივე საღსარის გამღები მთავრობა არის. ეს ფრონტიც ამ მთავრობისაგან დამოკიდებული დაწესებულება ხდება. იგი პარტიების შორის კი არ ეწყობა, მთავრობის გარშემო. ესე იგი მთავრობა ამ Ომის დედაა. ვისი ბრალია თუ ეს Ომი არ ვარგა?

ამისი ბრალი მხოლოდ მთავრობას ედება და იმიტომ რომ ამ ფრონტის მთელი ნანადირევი მთავრობას მარტო თავისათვის უნდა. ამიტომ იბადება საკითხი—რა არის ეს მთავრობა და როგორ უნდა გვესმოდეს ამისი მნიშვნელობა?

მთავრობას რომ 1921 წელს ომი წაეგო, მაგრამ ტერიტორია შეენარჩუნებინა, ესე იგი დამოუკიდებლობა,—ასეთ მთავრობას გადავაყენებდით, ასე ექაჯეთ ყოველ მთავრობას, რომელიც ომიდგან დამარცხებული გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდის. ეს არ მოხდა და მოხდა უარესი. მთავრობამ ომიც წაგო, ტერიტორიაც დაკარგა და მაინც მთავრობა დარჩა. ესე იგი მოხდა უჩვეულო რამ: მთავრობას რომ მხოლოდ ნახევრად წაეგო საქმე—ის მოლიანად დაემხობოდა. მთავრობამ მოლიანად წააგო საქმე და ნახევრად დარჩა! მან თავისი თავი არ გააუქმა და საზღვარგარეთ ეროვნული მთავრობის სახელით წამოვიდა.

რას ნიშნავს ეს არა ჩვეულებრივი ამბავი? მთავრობას რომ კითხოთ, მთავრობას ჰგონია, რომ ეს ნონსენსი ისტორიამ კერძოდ იმის ჯილდოთ გამოიგონა. ეროვნული დემოკრატია კი ფიქრობს, რომ საკითხი ის კი არ არის ისტორია ვის როგორ დაუჯილდოვებს, არამედ თუ საქართველოს ყოფილ კანონიერ მთავრობას იურიდიულობის ნასახი მაინც შერჩა, ყველაფერი ეს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას უნდა მოახმაროს და ისე მოიქეცეს როგორც ექსტერიტორიალურ მთავრობას შეეფერება. საქმის ასეთი ვითარება ჩვენ დიდი ხანია ვიცანით და მთავრობას ამაში არ ვეცილებით. მაგრამ მთავრობა თითონ გვეცილება სხვა რამეში და აქედგან ირკვევა, რომ მთავრობას თავისი მოვალეობა ესმოდათ ესმის. იმას ჰგონია, რომ თუ საქართველოს დამოუკიდებლობა აღსდგა, უნდა აღსდგეს არა მარტო ეს მთავრობა, არამედ იმისი პარტია და მენშევიკური რეჟიმიც. ამასთავის ნოტებში არ ა სწერს, მაგრამ სწერს თავის ცხადსა და ფარულს პუბლიცისტიკაში და რაც მთავარია—ანზორაციელებს სწორედ ამ მთლიანი ეროვნული ფრონტის საშუალებით.

ეხლა ყველასათვის ნათელი უნდა იყოს რატომ გარბიან ყველანი ამ ფრონტიდგან და რა მიზეზით ირღვევა იგი!

ჩვენი პოლიტიკის აქსიომა ის უნდა იყოს, რომ საფუძველი რომელზედაც საქართველო დაინგრა, იმისი აღდგენის საფუძვლად აღარ გამოადგება. მე ვსწერდი ერთხელ რომ მენშევიზმის რესტავრაციაზედ ოცნება მარტო ჩამორჩენილ მენშევიკს შეუძლიან მეთქი და პასუხი ყოფილმა მინისტრმა გამცა:—ჩვენ სხვებსა ვკიცხავდით ფრონტის გარეშე დგომისათვის და ნამდვილი მტრები თუმრე შიგ ფრონტში ვვყოლია, ე. ი., ფრონტი რად გვინდა მაშ, თუ მენშევიზმსაც არ აღადგენსო! და მენშევიზმის ამ უკვდავობას ბ. ყოფილი მინისტრი არჩევნებში მიღებული ნახევარ მილიონი ხმით ასაბუთებდა. ასეთი პასუხი დამახასიათებელია არა მარტო ყოფილი მინისტრისა, არამედ ყოფილი მთავრობისაც და ყოფილი მენშევიზმისაც. დღევანდელი მენშევიზმი ციფრების ამ რომანტიზმში ირჩევა. თავისი ღუჭირი გადასავლიდგან მხოლოდ ეს ახსოვს. დავიწყებულია, რომ საქართველოში დღეს ყველაფერი გადმოყირავებულია, მაშასადამე, საარჩევნო ყუთებიც და ის ხმები ისეა დაბნეული, რომ იმათ მარტო მენშევიკური ფანტაზია თუ მოჰკრებს. მაგრამ ამაზედ საფუძვლიანად უფრო ის არის დავიწყებული, რომ ეს მთავრობაც და ეს მენშევიზმიც ემიგრაციაში იმყოფება და ემიგრაციაა—მთავრობა იქნება იგი, თუ პარტია, იმდენად არის ერისათვის მისაღები, რამდენად ამ ერს გამოადგება და არა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის თავს, თორემ საქმე გაპილებით უარეს ყოფაშია დადიდამიწის ზურგზედ არ არის ერი, რომელსაც თავისი ბედი ემიგრაციაზედ გადაეგოს.

მე უკვე ვსწერდი ამ ეროვნული ფრონტის გაზეთში, რა ბედი ეწვია მეფე ვახტანგ მეექვსის ემიგრაციას. მაშინ საქართველოში არა საარჩევნო უფლება იყო, არა დამფუძნებელი კრება და არავის დაუთვლია რამდენი ჰყავდა მას ხმა. მაგრამ ემიგრაციაში წავიდა არა პოლიტიკურად და მორალურად დამარცხებული პარტია, არამედ საქართველოს ტვინი და გული, ხალხი, რომელსაც ისტორიკოსი ჯაკაბიშვილი ქართველ ენციკლოპედისტებს უწოდებს და რომელიც დღესაც ქართული კულტურის სიმაყედ ითვლება. მათ დასტოვეს არა მენშევიზმისაგან ნაჯიჯგნი ქვეყანა, არამედ ქართული აღორძინების და ეკონომ ფოდებული ეროსტლის ხანა. მეთაურად ის შესანიშნავი მეფე ჰყავდათ, რომლის ქართულ კანონებთან მენშევიკური სამართალი მოსატანი არ არის და რომელსაც გვორგვინი ქუჩაში არა ჰქონია ნაპოვნი... და ეს ემიგრაცია საქართველოს გარეშე დაიღუპა. საქართველო მას საფლავში არ ჩაჰყოლია და თავისი გზა გამოსძებნა.

4

ამ გზის ძებნა არავის ეძრახება, ხოლო ეროვნული დემოკრატიისათვის საგალდებულოა არის. ჩვენი პარტია ყველაზედ ახალგაზდა არის. ქვეყნის წინაშე მას შეცდომები არ მიუძღვის და იმისი ისტორია უანგარო ბრძოლის ისტორიაა. იგი ქართველი ერის დღევანდელი ზრახვების საუკეთესო გამომთქმელია. ის სულიერი მემკვიდრეა იმ თაობის, რომელმაც მეცხრამეტე საუკუნეში ქართველი ერის აღორძინება დაიწყო. ამიტომ ქართველ ერთან ბისელის გზებს ყოველთვის იპოვის, თუ არიან ისეთი ქართული პოლიტიკური მიმდინარეობანი რომელთაც ეს არ ესმინა—მით უარესი მათთვის. ამ პარტიის მნიშვნელობის გაბათილება ამაო შრომაა. იმისი მაგიერობა სხვას ვერ შეუძლიან. იმისი პროგრამა ყველა პროგრამაზედ ნორმალურია. რევოლიუციონურ დემოშენისაგან და სოციალიზმისაგან ნაწვალებ ქვეყანას ყველაზედ უკეთ ის უდგება. იმისი ეროვნული მიზნები ქართული ისტორიის ანდერძია. იგი შექმნილია არა ოოქტრინისათვის, არამედ ცხოვრებისათვის, არა სექტისათვის, არამედ მთელი ერისათვის. ამითი აიხსნება რომ 1921-24 წლებში საქართველოს პოლიტიკურ ვითარებაში მთავარი ადგილი დაიჭირა და ითამაშა როლი, რომელმაც იგი ხალხს დაუახლოვა.

მაგრამ არის ერთი გარემოება, რომელიც ხელს უშლის პარტიამ ეს მნიშვნელობა მუდამ და ყველგან შეინარჩუნოს. ეს გარემოება ჩვენ თითონ უნდა დავასახელოთ, რადგანაც, სულერთია, მოწინააღმდეგე იტყვის, ან უკვე ამბობს. ეს არის ჩვენი პარტიის ორგანიზაციული უმტკიცობა. ნიშნავს ეს იმას, რომ ორგანიზაცია სულ არა გვაქვს, ან ეს უმტკიცობა საბოლოოვოა? არასოდეს! იმავე 1921-24 წლებში პარტიამ დაამტკიცა, რომ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძოლის დროს იმისი მორალი ფრიად მაღალ სდგას. მაგრამ ეროვნული დემოკრატია ჰგავს იმ ჯარს, რომელიც ჩინებულია ბრძოლის ველზედ და სუსტია ყაზარმაში—ესე იგი მას არ უვარგა დისციპლინა! ამ ნაკლის აღიარება სირცხვილი არ არის, გამოსწორება კი საკადებულოა.

ის, რაც ამ ბოლო დროს ჩვენს პარტიაში მოხდა იმისი მაჩვენებელია, რომ ჩვენ სწორედ ეს პარტიული ყაზარმა არ გვივარგა. პარტია ეგრედ წოდებული „ეროვნული ცენტრიდგან" წამოვიდა, მაგრამ აღმოჩნდნენ პირნი, რომელთაც ეს დადგენილება არამც თუ გაიზიარეს, პარტიას აუჯანყდნენ, როდესაც ოქმი დასწერეს, პარიზის კომიტეტი და საზღვარ-გარეთის ბიურო გაუქმებულად გამოაცხადეს და ამ ცენტრში წავიდნენ. ეხლა ამ ოქმს ხარის ფაშვივით დაათრევენ, სამჯერ გაზეთებში გამოსცემენ, თავისი თავიც გაეპანჭურეს, პარტიაც გამოეპანჭურეს... რა ჰქვიან ამას ეროვნულ-დემოკრატობა, თუ ჩერჩეტობა? ვინაიდგან ჩვენი ამხანაგები სხვებმა გააბრიყვეს, ამას ჩერჩეტობა ჰქვიან, მაგრამ ეს ჩერჩეტობა დანაშაულს უდრის.

რითი მართლულობენ თავს ჩვენი ამხანაგები? მათის აზრით „ეროვნული ცენტრიდგან" წამ ესვლა მეცდომა იყო. ვსთქვათ რომ ასეა. მაგრამ შეცდომა მთელმა პარტიამ უნდა გამოასწოროს და არა ხუთმა კაცმა. ამას გარდა შეცდომას შიგ პარტიაშივე უნდა ბრძოლა და არა გარეგდგან. დასასრულ, თვით ეროვნულ ფრონტისთვისაც ხომ მნიშვნელობა მარტო იმისა აქვს, როდესაც პარტია მთლიანად შედის ამ ფრონტში და არა თავისი უნინშვნელო ნაწილით. აი ამაზედ არ იფიქრეს ჩვენმა ამხანაგებმა. იმის ნაცვლად, რომ თავისი პარტია დაერწმუნებიათ ამ „ეროვნული ცენტრის" სიკეთეზედ, მათ ამ „ეროვნულ ცენტრს" დაუწყეს რწმუნება, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია არ ვარგა, კარგები მარტო ჩვენ ვართ მოწყალება ჩვენზედ მოიღეთო. პარტია საფდაკ მიაგდეს და წინ თავისი თავები წამოსცემენ. ესე იგი პარტიის სახელით კი არ წავიდნენ ამ ცენტრში, არამედ პარტიის მაგივად. ამას პარტია არა ჰქვიან, ასეთ წარმომადგენელებს პარტიის წარმომადგენელები არ ეწოდება. ამის სახელი უგვანობა არის. ამ ჩვენი ამხანაგების უგვანობაზედ უარესი მბოლოდ თვით ამ „ეროვნული ცენტრის" საკითხია. მთლიანი პარტიების ნაცვლად მას ცალკე პირები აკავეს. მაგრამ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მნიშვნელობა, სწორედ „ეროვნული ცენტრის" ამ უგვანო საკითხის ასწია მაღლა. გამოთრკვა, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დაუსწრებლად ეროვნული ფრონტის შედგენა შეუძლებელი ყოფილა, და რადგანაც დღეს იგი ამ ცენტრში აღარ იმყოფება, ცენტრის კამარილია ამ პარტიას თითონ იგონებს, პარტიის ცალკე წევრებს ჩინჩხვარივით კკრეფს და ქვეყანას ატყუებს: ჩვენი ფრონტი ნამდვილი ფრონტია, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიაც ჩვენთან არისო! ეს სიცრუე არის. „ეროვნულ ცენტრში" დარჩენილი პარტია იმათი მოგონილია. ნამდვილ ეროვნულ-დემოკრატი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ულ პარტიას უფლება აქვს უთხრას ამ ცენტრს შენ აკეთებ შენვე ზიდავ საკუთარი ბარგიაო!

როგორ უნდა მოიქცეს პარტია ამ შემთხვევაში? პასუხი ერთია: რაკი მთლიან ეროვნულ ფრონტს ისე აწყობენ, რომ პარტიების ნაცვლად იქ ცალკე პირები შეჰყავთ—ფრონტი დაგ- რებულია, ის ვაინახრობის ფრონტია და არა ეროვნული. ეროვნულ-დემოკრატიას ასეთ ფრონტთან საერთო არაფერი უნდა ჰქონდეს და ეს ჩვენი ამხანაგებიც ზედ მიაყოლოს.

განმარტება და გაფრთხილება

ცენტრალურ ბიუროს გათვალისწინებული ჰქონდა სავსებით ის გამოძახილი, რომელიც გამოიწვია ქართულს პოლიტიკურს წრეებში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საზღვარ-გარეთის ორგანიზაციებში ჩამოვარდნილ განხეთქილების მოსპობამ და გაერთიანებულ ორგანიზაციების მიმართვამ დამოუკიდებელ პოლიტიკის ჭზით. სადს სახელმწიფოებრივ გეზსა და მიმართულებას ჯერ კიდევ მრავალი შეგნებული თუ შეუგნებელი მტერი ჰყავს ჩვენს საზოგადოებაში. ესენი არაფერს ზოგავენ, რომ ჯოჯოხეთურს პირობებში მებრძოლ ეროვნულ დემოკრატიულ პარტიას კიდევ უფრო ეურთულონ და გაუძნელონ მდგომარეობა. მხოლოდ ასეთი მიზნებით აიხსნება სხვათა შორის ის გარემოება, რომ ეს წრეები ათასნაირს ჭორებსა და ინსინუაციებს ავრცელებენ ჩვენი ორგანიზაციების გაერთიანებისა და ახლად გამოწყებულ მუშაობის შესახებ: რომ ეს გაერთიანება არ ყოფილა საფუძვლიანად შემზადებული, რომ ის ნაჩქარევად იყო მოწყობილი, რომ მას დიდი ოპოზიცია ჰყავს და სხვა და სხვა.

აღსაკვეთად ასეთი ჭორებისა და ბოროტი ინსინუაციებისა ვაცხადებთ საყოველთაოდ, რომ ეს გაერთიანების საქმე მზადდებოდა მთელი წლინახევრის განმავლობაში, რომ ამ მუშაობას აწარმოებდენ პარტიის პასუხისმგებელი ორგანოები, რომ გაერთიანების საკითხი არა ერთხელ იდგა ჩვენ ორგანიზაციების კომიტეტებში და თვით ორგანიზაციათა საერთო კრებაზედ და, რომ, საბოლოოდ ის დამტკიცდა და სათანადო გაერთიანებული ორგანოები შეიქმნა ერთსულოვანი დადგენილებით ყველა ორგანოებისა, რომელიც მოეპოება ჩვენს პარტიას პარიზში, საფრანგეთის სხვა კუთხეებში და ევროპის სხვა ქვეყნებში.

მართალია ორი კვირის შემდეგ ამისა, პარიზის ორგანიზაციის ორმა წევრმა შეეცადენ ოპოზიციის გამოწყებას, რომლის შედეგი უნდა ყოფილიყო გაერთიანების შეფერხება და პარტიის მეთაურთა შორის განწყო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბილების გამწვავება, მაგრამ ორგანიზაციამ ადვილად აღკვეთა მათი ასეთი მუშაობა და მისი ავტორებიც გადასცა დისციპლინარულს სასამართლოს ღირსეული მსჯავრის მისასჯელად.

Ცენტრალური ბიურო ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ მას სავსებით ნათლად აქვს გათვალისწინებული ის სიძნელენი, სიმძიმენი, ნიფათი და ხაფანგი, რომელიც სდარაჯობს ჩვენი პარტიის სახელმწიფოებრივ პოლიტიკის გზას. მაგრამ მას ასევე ნათლად აქვს წარმოდგენილი ერთად-ერთი სახელმწიფოებრივი მიმართულების მნიშვნელობა და დანიშნულება ჩვენს ეროვნულს ცხოვრებაში. ეს აასკეცებს მის ძალას და ანიჭებს მას ურყევ რწმენას, რომ ყველა ამ დაბრკოლებებს ის გადალახავს და თავის საქმეს გამარჯვებით დააგვირგვინებს.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის
საზღვარ-გარეთის Ცენტრალური ბიურო.

ივლისის 25, 1929 წ.
ქ. პარიზი.

სარედაქციო კოლეგია.

Audincourt. - Imp. Zindy-Peter

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 3 ფრანკი.

Gérant : Zindy - Audincourt